# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 19 აპრილი. 2023 წ. №43 (9575) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## არა ცილი-სწამო!

### ქვეყანაზე ზრუნვის მოტივით, მრავალი მხრიდან ისმის კატეგორიული აზროვნება, აგრესიული მეტყველება, რაც მოსახლეობაში მკვეთრ პოლარიზებას იწვევს!



### სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია მეორის სააღდგომო ეპისტოლე:

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ხელისუფალნო, საქართველოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის ყოველნო წევრნო, მკვიდრნო ივერიისა და ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო,

„გამოვიდა სიძე ჯოჯოხეთიდან, მკვდრეთით აღდგა ძლიერებით შემოსილი, სიკვდილი დათრგუნა და ტყვენი გაათავისუფლა“ (წმ. იოანე ოქროპირი), ქრისტე აღდგა! დგება ჟამი ახალი პასექისა!

დღეს ზეიმობს ცა და მიწა, ხილული და უხილავი სამყარო; რა თქმა უნდა, ვზეიმობთ ჩვენც, რადგან ამ სასწაულით დასრულდა ამქვეყნად მაცხოვრის ღმერთკაცობრივი, გონებისთვის მიუწვდომელი ღვაწლი, ჩვენი ხსნისათვის გაღებული. ამპარტავნების გამო აკრძალული ხისკენ ადამის გაწვდილი ხელის ნაცვლად, მწყემსი კეთილი საკუთარ ხელს იწვდის ჯვარზე მისამსჭვალად, განდიდების ნაცვლად, თავზე ეკლიან გვირგვინს იდგამს და ჩვენი ცხონების სანაცვლოდ, თავის სიცოცხლეს სწირავს.

ამ საოცარმა მსხვერპლმა სიკვდილისა და ჯოჯოხეთის საკვრელთაგან იხსნა ძველი აღთქმის მართალთა სულნი, ადამიდან და ევადან ვიდრე ქრისტეს აღდგომამდე შესვენებულნი და ცათა სასუფეველი დაუმკვიდრა მათ.

აღდგომის შემდეგ კი სასუფევლის კარი ღიაა ყველა ქრისტიანისთვის, რომელნიც სულით და ხორცით განწმენდილნი წარდგებიან ღვთის წინაშე. ასეთ ადამიანთა სულებს ჯოჯოხეთი უკვე ვეღარ ეხება და გარდაცვალებიდან ორმოცი დღის შემდეგ ისინი უფლის სავანეთა შინა განისვენებენ. ამ სიხარულს ათასწლეულთა მანძილზე ელოდნენ თაობები.

უფალი მოვიდა, რომ წინაძღვრად ექცეს ჩვენს აზრს, გრძნობას, მოქმედებას, სულისა და გულის წადილს; რომ დაგვეხმაროს, შემოვბრუნდეთ და გამოვასწოროთ ჩვენი დაცემული ბუნების ნაკლოვანებანი; სულიერად გავიმართოთ და ჩვენი ცხოვრება მარადიულად მოზეიმე ზეცისკენ მიმავალი გზის დასაწყისად ვაქციოთ.

იხ. 6-7 გვ.



## წარსულის დიდ კაცებსაც ჰგავდა, მომავლის მოქალაქეც იყო!..

იხ. 5 გვ.

აკადემიკოსი გივი ცინცაძე

ნუგზარ ფოფხაძე:

## „ჰიმნი დედაენას“ რეზო ლაღიძის ბოლო სიმღერაა!..



იხ. 7 გვ.

გია გაბრიჭიძე:



8

## აგრესიული ლიბერალების კიდევ ერთი გაფრთხილება

ლევან რამიშვილი:

ქრისტიანობა ყველაზე დიდი სულიერი სიმახინჯეა, რაც კი არსებობს დედამიწაზე. ის აავადებს ადამიანს საკუთარი თავის მიმართ ღრმა და გაუცნობიერებელი სიძულვილით. და თუ ვინმეს ამ წუთას პროტესტის გრძნობა დაგებადათ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს სიძულვილი თქვენი თავის მიმართ ჯერ არ გაგიცნობიერებიათ...

ზურაბ ცუცქირიძე:

## განაცებული პრეზიდენტი სალომეა, საფრანგეთიდან...

იხ. 4 გვ.



## უმადურობა

„უმადურობა უჭკუობის არის ნიშანი“!.. საინტერესოა, როგორი იქნება საქართველოს მეექვსე პრეზიდენტი?



# ირაკლი ღარიბაშვილი: ეს არის სამარცხვინო, აღმაშფოთებელი ფაქტი

– მინდა, გამოვეხმაურო მეტად შემაშფოთებელ ფაქტს, ეს არის საერთაშორისო, ტრანსნაციონალური დანაშაული, რომელიც იქნა გამოძიებული და გახსნილი, ე.წ. ქოლ-ცენტრების საქმეს!, პირველ რიგში, იმიტომ მინდა, ამის თაობაზე კომენტარის გაკეთება, რომ საქმე ეხება ჩვენი მოქალაქის მიერ ჩადენილ არნახული მასშტაბის, უპრეცედენტო მასშტაბის თაღლითური სქემის განხორციელებას, რომლის შედეგადაც თითქმის ერთი მილიარდი დოლარი, თუ ევრო იქნა მოპარული ევროპის ქვეყნებში.

რეალურად, გახსოვთ, რომ ალბათ ბოლო ერთი წელია, მუდმივად ისმოდა ბრალდებები რადიკალური, ექსტრემისტული ოპოზიციის მხრიდან, რომლებიც თავად ფინანსდებოდნენ და ფინანსდებიან მოპარული, ნაძარცვი ფულით. ეს არა მხოლოდ სამარცხვინო, არამედ შემაშფოთებელი ფაქტია. ძალიან ინტენსიური თანამშრომლობა გვქონდა გერმანიის საგამოძიებო სამსახურთან. ჩვენი საგამოძიებო სამსახურები აქტიურად მუშაობდნენ ბოლო, ალბათ ორი წლის განმავლობაში. ძალიან დიდი სამუშაო იქნა გაწეული ერთობლივად და ჩვენ, ჩვენი მხრივ მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ ამ საერთშორისო თაღლითური სქემის გამოძიების საქმეში.

სიმართლე გარკვეულია, გამოვლინდა, რომ სამწუხაროდ, ჩვენი მოქალაქე, თავდაცვის ყოფილი მინისტრი, ბატონი კეზერაშვილი უკვე საერთაშორისო დონის თაღლითად არის მოხსენიებული, რაც, რა თქმა უნდა, კატასტროფულია და კიდევ უფრო მეტად შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ მოგეხსენებათ, მანამდე ჯერ ჯარი გაძარცვა, შემდეგ ბიზნესს რა დღეში აგდებდა, ატერორებდა, ახლა უკვე მთელი ევროპის მასშტაბით არნახულ თაღლითურ სქემაში იმუშავა მისმა კომპანიამ და გაძარცვეს პენსიონერები. მილიარდი დოლარის ზარალი იქნა მიყენებული.

ასე რომ, როდესაც ჩვენი ე.წ. რადიკალური, ექსტრემისტული ოპოზიციის წარმომადგენლები შეხვდებიან ჩვენს ევროპელ მეგობრებს და პარტნიორებს, მინდა, ჩვენს ევროპელ მეგობრებს ვუთხრა, რომ ისინი ხვდებიან მათი მოქალაქეების მძარცველის მიერ დაფინანსებული პარტიის წარმომადგენლებს. რა თქმა უნდა, ეს არის სამარცხვინო ფაქტი, მაგრამ მიხარია, რომ სიმართლე გაირკვა. გახსოვთ, შარშან პირიქით აბრალებდნენ, თითქოს ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ ჩართული ამ საქმიანობაში და ახლა „ბიბისიმ", ბრიტანეთის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა საბოლოოდ გამოავლინა და ამის თაობაზე უკვე მთელ საზოგადოებას ეცნობა.

ასე რომ, ნაცვლად იმისა, ჩვენი ოპოზიციის წარმომაგენლები ჩართული იყვნენ დესტრუქციულ ქმედებებში ყოველდღიურად, მათ ყოველ დღე უნდა მოიხადონ ბოდიში ახლა უკვე როგორც ჩვენი საზოგადოების წინაშე, ასევე ევროპული საზოგადოების წინაშე. უნდა მისცენ ახსნა-განმარტებები, რატომ ფინანსდება მთელი ოპოზიციური სპექტრი, თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია, მათი ტელევიზიები ნაძარცვი ფულით, ევროპელი პენსიონერების მოპარული ფულით", – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

„ჩვენს ევროპელ კოლეგებთან ერთად, ძალიან ინტენსიურად ვიმუშავეთ და იმედი მაქვს, ყველა ის დამნაშავე, რომელიც ამ თაღლითურ სქემაში იყო ჩართული, პასუხისგებაში იქნება მიცემული", – დასძინა ირაკლი ღარიბაშვილმა.

### მალე გაიგებთ, როდის დავიწყებთ ანაკლიის პორტის მშენებლობას!

ძალიან მალე ჩვენ გამოვიტანთ უკვე უფრო დეტალურ ინფორმაციას იმის თაობაზე, როდის დავიწყებთ კონკრეტულად ანაკლიის პორტის მშენებლობას, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

ამასთან, ღარიბაშვილმა ასევე ისაუბრა ახალი აეროპორტის პროექტზე.

„ეკონომიკის სამინისტრო მუშაობს, ძალიან მალე ჩვენ გამოვიტანთ უკვე უფრო დეტალურ ინფორმაციას იმის თაობაზე, როდის დავიწყებთ კონკრეტულად ანაკლიის პორტის მშენებლობას, რომელიც გვინდა, რომ ჩვენ დავიწყოთ შემოდგომაზე.

ასევე ახალი აეროპორტის პროექტის თაობაზე ძალიან მალე გვექნება პრეზენტაცია. ამის შესახებ ძალიან მალე მოგახსენებთ. ეს არის მრავალ ასეულმილიონიანი ინვესტიცია. რაც შეეხება ენერგეტიკის ობიექტებს, აქაც ძალიან სერიოზული წინსვლა გვაქვს და ძალიან მალე განახლებულ ინფორმაციებს წარმოგიდგენთ", – განაცხადა პრემიერმა.

### ქალაქებისა და კურორტების განვითარებას ერთი მილიარდი ლარი მოხმარდება!

„მინდა, რამდენიმე საკითხზე გავაკეთო კომენტარი და გაგაცნოთ ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელსაც დღეს ოფიციალურად დავიწყებთ, დავაანონსებთ. მანამდე გეტყვით, რომ ჩვენ ორი წლის წინ დავიწყეთ ყველა მუნიციპალიტეტში ურბანული განახლების პროგრამა. 63 მუნიციპალიტეტში ჩატარდა აღნიშნული სამუშაოები, განახლდა ცენტრები, მოეწყო სკვერები და ძალიან მასშტაბური სამუშაოები იქნა ჩატარებული.

ამ პროგრამისთვის გახსოვთ, რომ ჩვენ 500 მილიონი ლარი გამოვყავით, ჯერ კიდევ გრძელდება რამდენიმე მუნიციპალიტეტში აღნიშნული პროგრამა და ახლა ჩვენ ვიწყებთ უფრო მასშტაბურ სახელმწიფო პროგრამას, ქალაქების და კურორტების განვითარების პროგრამა, რომელიც იქნება ხუთწლიანი და ბიუჯეტიდან გამოიყოფა მილიარდი ლარი. ჩვენ ამ მიზნით გვაქვს უკვე გამოყოფილი წელს 200 მილიონი ლარი. შერჩეული გვაქვს 11 მდებარეობა, ლოკაცია, მინდა გაცნობოთ ამის თაობაზე: ეს არის ბორჯომი, ბაკურიანი, ქუთაისი, წყალტუბო, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, მცხეთა, სტეფანწმინდა, მესტია და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები.

სამუშაოებს დავიწყებთ ძალიან მალე, ამის თაობაზე უფრო მოგვიანებით მოგახსენებთ დეტალურად, შემუშავდება კონცეფციები, მუნიციპალური განვითარების ფონდი დაიწყებს მუშაობას აქტიურად ამ პროგრამის განხორციელებაზე, შევარჩევთ საუკეთესო არქიტექტორებს, მშენებლებს. ჩაუტარდება შენობებს, კულტურულ და ისტორიულ ობიექტებს რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია.

ასევე, ახალი და არსებული რეკრეაციული სივრცეები მოეწყობა, განახლდება, ისევე როგორც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები და ახალი ტურისტული ატრაქციები შეიქმნება. ჩვენი მთავარი ამოცანა უნდა იყოს ჩვენი ქვეყანა ეტაპობრივად გარდავქმნათ რეალურად ევროპული ტიპის სახელმწიფოდ.

ეს უნდა იყოს კარგად მოვლილი, განვითარებული, ლამაზი სახელმწიფო, ქალაქები, რაიონები, სოფლები. აი ეს არის ჩვენი გეგმა. როგორც მოგახსენეთ, 200 მილიონი ლარი გამოიყოფა წელსვე, სამუშაოებს დაიწყებს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, მუნიციპალური განვითარების ფონდი და ძალიან მალე ვიხილავთ შედეგებს", – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

### ფასებმა მნიშვნელოვნად დაიწია საწვავზე, პროდუქტებზე, სურსათზე!..

„მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც მთავრობას ფასების შემცირების პოლიტიკის განხორციელებაში გამოჰყვა და საკმაოდ ადეკვატური ნაბიჯები გადაიდგა მათი მხრიდანაც.

ასე რომ, ჩვენი ამოცანა უნდა იყოს ჩვენი ნიშნულის, ინფლაციის 5%-იანი ნიშნულის შენარჩუნება წელს, მაღალი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება და ახლა ასეთი მნიშვნელოვანი, მასშტაბური პროექტების კეთებაა", – განაცხადა პრემიერმა.

# ხა, ხა, ხა, ხა!!!

## ხაბეიშვილს მხოლოდ ერთი ნაკლი ჰქონია და... ისიც აღმოუჩინეს!



**„ნაციონალურ მოძრაობაში" თავმჯდომარის პოსტზე ლევან ხაბეიშვილის ლეგიტიმაცია ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. ორად გაყოფილ პარტიაში ახალი თავმჯდომარის საქმიანობით უკმაყოფილო მელიას გუნდი ღიად მიანიშნებს, რომ ლევან ხაზეიშვილი საარჩევნოდ გაცემულ დაპირებებს ვერ ასრულებს, რაც შესაძლოა, პარტიაში ახალი არჩევნების ჩატარების საფუძველი გახდეს.**

ლევან ხაზეიშვილის თავმჯდომარეობა „ნაციონალურ მოძრაობაში" სავარაუდოდ, ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდება. „ქრონიკის" ინფორმაციით, პარტია ამ წუთებშიც მსჯელობს იმაზე, ვინ იქნება პარტიის უკვე მომავალი თავმჯდომარე და როდის ჩატარდება მომავალი არჩევნები. „ქრონიკის" ინფორმაციით, განიხილება ორი კანდიდატურა, ესენი არიან პეტრე ცისკარიშვილი და ლევან ბეჟაშვილი.

ლევან ხაზეიშვილის გადაყენების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად განიხილება ის, რომ მან არ იცის ინგლისური და ვერ ამყარებს პარტნიორებთან ურთიერთობას. ასევე, ლევან ხაზეიშვილის სამთვიანი თავმჯდომარეობის პერიოდში „ნაციონალური მოძრაობა" ორ ფლანგად გაიყო, მელიასა და ხაზეიშვილის მომხრეებად. ნიკა მელიას ფლანგი მას ადანაშაულებს იმაში, რომ ვერ შეასრულა ამ ხნის განმავლობაში გაცემული დაპირებები, რასაც წინასაარჩევნო პერიოდში გასცემდა.

# დედაქალაქის ქუჩები 24 აპრილიდან სისტემატურად მოირეცხება!

**24 აპრილიდან დედაქალაქის ქუჩების ინტენსიური დასუფთავება დაიწყება,** – ამის შესახებ თბილისის მერმა, კახა კალაძემ სოციალური ქსელის, „ფეისბუქის" საშუალებით ისაუბრა.

კახა კალაძის თქმით, „თბილსერვის ჯგუფი" განახლებული ტექნიკით ქუჩებს სისტემატურად მორეცხავს. მისივე განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში მერია დახმარებას შინაგან საქმეთა სამინისტროსაც სთხოვს.

**„თუ აუცილებლობა მოითხოვს, შეგვიძლია ვთხოვოთ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დახმარება. როგორც ყოველთვის, გვერდით გვიდგანან. მხედველობაში მაქვს სახანძრო მანქანები, რომლის მეშვეობითაც მაქსიმალურად ბევრ ქუჩაზე მოვახერხებთ დასუფთავების სამუშაოების წარმოებას. ორშაბათიდან, 24 აპრილიდან უნდა დავიწყოთ სამუშაოები",** – განაცხადა კახა კალაძემ.



დედაქალაქის მერის მოადგილემ, ანდრია ბასილაიამ იმ განახლებულ რესურსზე ისაუბრა, რომელიც წელს „თბილსერვის ჯგუფს" აქვს სამუშაოების ეფექტიანად წარმოებისთვის. „თბილსერვის ჯგუფის" ხელმძღვანელის, დავით ფაჩულიას განცხადებით, უკვე შეძენილია ახალი ტექნიკა, რომლის მეშვეობით სამუშაოები ყოველ ღამით, გათენებამდე იწარმოებს.

**„წელს, შარშანდელთან შედარებით, კარგი მდგომარეობა გვაქვს. შევიძინეთ დაახლოებით 15 ერთეული სპეცტექნიკა. წელს, შარშანდელისგან განსხვავებით, 20 ერთეული გამართული სპეცტექნიკით შევხვდებით ზაფხულს. ყოველდღიურ რეჟიმში მოირეცხება ასზე მეტი ქუჩა, გზატკეცილები, პანდუსები, გვირაბები, ხიდები, ასევე როგორც პირველი, ისე მეორე კატეგორიის ქუჩები. ეს არ იქნება ერთჯერადი, არამედ გაგრძელდება მთელი ზაფხულის განმავლობაში...**

# ალეკო ელისაშვილი: „მოქალაქეები" სააკაშვილთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარს არ დავუჭერთ



**„მიხეილ სააკაშვილთან დაკავშირებით დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნას მხარს არ დავუჭერთ. რა უნდა გამოიძიოს? – პარლამენტის წევრები არ ვართ ექიმები, რომელთაც უნდა გაარკვიონ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა.**

**„ნაცმოძრაობას" თავისი დღის წესრიგი აქვს, ჩვენ – ჩვენი. არ მიგვაჩნია, რომ ეს საკითხია ყველაზე მნიშვნელოვანი.**

**თავიდანვე მკაფიოდ ვთქვი, რომ ამ კომისიას მხარს არ დავუჭერდით. არ მიგვაჩნია, რომ ამაზე დრო უნდა დავკარგოთ. ყველაფერი ისედაც ხელისგულზე დევს",** – განაცხადა ელისაშვილმა.

# საღლაბუცო არ გველევა, მაგრამ რა გვეღლაბუცება?!

**უდავო ფაქტია: მარტმა შვა აპრილი. უფრო ფილოსოფიურად თქმაც შეიძლება: რომ არ ყოფილიყო მარტი, არ იქნებოდა აპრილი.**

**ბუნებრივია, მხედველობაში მაქვს არა უბრალოდ გაზაფხულის თვეების თანამიმდევრობა, როცა ისინი სწორედაც რომ ერთმანეთს მიჰყვებიან დროის სვლის კვალდაკვალ, არამედ ის პოლიტიკური და სოციალურ-საზოგადოებრივი მოვლენები, რომლითაც ასე უხვად იყო გაჯერებული მარტიცა და აპრილიც და დიდი მოლოდინითა და იმედით დამუხტა ერთი და დაუმსახურებელი იმედებისა და მოლოდინებისაგან განძარცვა მეორენი.**

**მივყვეთ არსებითად.**

დავიწყოთ დაუვიწყარი 7-8 მარტით, როცა მშვიდობიანი, თითქმის უღრუბლო ცა უეცრად, სრულიად მოულოდნელად ძველ ფარდასავით ჩამოიხა და ისეთი უღიმღამო ლანდშაფტი გამოაჩინა, ლამის სუნთქვა შეგვეკრა. თანდათან გამოიკვეთა, რომ ეს ლანდშაფტი მხოლოდ უღიმღამო კი არა, საშიშიც იყო. მასზე აშკარად იკვეთებოდა სანგრები, ტანკსაწინააღმდეგო თხრილები და დაზვინული ჯვრები საფლავებისთვის. პარლამენტში კი თვალებდამრგვალებული, პირზე დუჟმორეული დეპუტატი ქალები შიშისგან წამხდარ, გადაფითრებულ კოლეგა მამაკაცებს საჩვენებელ თითებს თვალებში სჩრიდნენ და დედ-მამის სულს უტრიალებდნენ.

გაიხსენეთ, ფაქტობრივად, გადატრიალების ის ორი დღე პარლამენტში, 7-8 მარტი, ოპოზიციის სრული გამარჯვებით რომ დამთავრდა! გამარჯვებით კი იმიტომ დამთავრდა, რომ ასე იყო დაგეგმილი ჯერ კიდევ დიდი აკერმანის, პროვოკაციების ოსტატის მიერ ბაკურიანის სწავლების დროს, სადაც სულ წვრილად გაირჩა, თუ რა მოვლენას უნდა მიეცა ბიძგი მომავალი სრულიად სახალხო რევოლუცია-აჯანყებისთვის, „ანტიხალხური“ ოცნების ხელისუფლების დასამხობად.

იმ მომენტისათვის რევოლუციური ბიძგის მიმცემად შეირჩა ამერიკული, ანუ „რუსული“ კანონი აგენტების შესახებ. და დაიწყო...

პირველებმა, როგორც ვთქვით, პარლამენტის ოპოზიციონერმა ქალმა დეპუტატებმა იკივლეს.



გია ბუღაძისნაირ კაცებს ცხონებული ბებიაჩემი აკვირინე შეპყრობილებს უწოდებდა, ასეთ ხალხს უნდა ერიდოო, იტყოდა. კი ბატონო, ერიდები, მაგრამ ფეხებში რომ გედებიან? შარვლის ტოტებზე რომ გებღაუჭებიან?

მერე ესტაფეტა კაცებმა მიიღეს.

**მახსოვს, როგორ იხუა ჭიჭე ვაშაძემ, როცა „ბაკურიანის სწავლებაში“ მონაწილეობის შესახებ ჰკითხეს თავის დროზე, ყოვლად ჩვეულებრივი შეკრება იყო, მონაწილეობა მივიღე, მაგრამ დიდი არაფერი შთაბეჭდილება დამრჩენიაო. „ბაკურიანით“ ზურგგამაგრებული ის თითქოს სერიოზული ხელმძღვანელი უნდა გამხდარიყო მარტის მოვლენებისა, მაგრამ მასზე ფსონის დამდებებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ გიორგი ვაშაძის დიდი თავი დიდი ჭკუის მანიშნებელი სულაც არ არის.**

ერთი სიტყვით, პარლამენტში ამტყდარ წივილ-კივილს ქუჩაში ხალხის გამოცვენა მოჰყვა. მოხდა ფაქტი, რაც კარგა ხანია, აღარ შეიმჩნეოდა – გამოიშალა ახალგაზრდობა (თუმცა, არა მაინცდამაინც ძირითადად სტუდენტობა, როგორც ოპოზიცია გაჰყვიროდა), თითქოს რევოლუციისთვის ყველაფერი მზად იყო, გვქონდა სიახლეც: აქციებზე გამოჩნდა, თანაც უხვად, ევროპა-ამერიკაში წარმატებით აპრობირებული „სახალხო“ იარაღი“ – „მოლოტოვის კოქტეილი“ და კინაღამ ცოცხლად ამოწვეს პოლიციის რიგები...

ჭექა-ქუხილი ისევე მოულოდნელად ჩაქრა, როგორც დაიწყო. არადა ხანძრის ჩასაქრობად თითქოს არ უნდა ჰყოფნოდა პარლამენტის პირველი მოსმენით მიღებული კანონპროექტის უკან წაღება. არ უნდა ჰყოფნოდა, მაგრამ ეყო, თუმცა, აღელვებულ ხალხში დაუღალავად დაძვრებოდნენ წამქეზებლები და ხელისუფლების დამხობისკენ მოუწოდებდნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ღრიანცელის მიუხედავად, რევოლუციის ჟამი არ დამდგარიყო, ხალხმა არ გაითვალისწინა რადიკალური მოწოდებები და მეცხრე ტალღად არ შესკდომია პოლიციის კედელს, თუმცა, კი იმ კედლის ცალკეულ ქონგურებს კენწეროები ჰქონდა მორღვეული სეტყვასავით დაშენილი ქვებით. და მაინც, აქ მოხდა ერთობ საინტერესო, სიმპტომური ამბავი. ხომ ასე მღელვარედ ჩაიარა მარტმა, მან რატომღაც ყოვლად დაუსაბუთებელი რწმენა შემატა ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, რომ მას ხალხი მხარს უჭერს. ნაციონალური მოძრაობის ახალი ლიდერი ხაზეიშვილი, რომელიც მარტამდე დაყივლებას კი არა, დასაყივლებლად თავის წამოწევასაც ვერ ბედავდა საკუთარი პერსონის უბადრუკობის შეგრძნების გამო, მხრებში გაიშალა და მიკროფონი ჩაიხუტა.

ეს მუხტი აპრილამდე მიჰყვა. მან პირადად დააანონსა ერთი თვით ადრე დიდი, სრულიად საქართველოს მასშტაბის მიტინგი 9 აპრილისთვის, მთელი საქართველო მოიარა, შეხვდა ხალხს, ბევრი უჩიჩხინა და პირადად მიიღო დაპირებები 9 აპრილის მიტინგზე აუცილებლად დასწრების შესახებ.

მაგრამ 9 აპრილის დიდი, „სრულიად საქართველოს მასშტაბის“ მიტინგი ჩაფლავდა. მან კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ მარტის აქციების მონაწილეთა უმრავლესობა ნაცმოძრაობის მხარდამჭერი არ იყო.

ხაზეიშვილმა 9 აპრილის აქციაზე პოლიტიკური გონიერებით გაელვება გადაწყვიტა და ოთხი მოთხოვნა, ფაქტობრივად, პარტიის სამოქმედო პროგრამა გააჟღერა: 1. თავისუფლება ლაზარეს; 2. დასანქცირებული მოსამართლეების დაუყოვნებლივ გადადგომა; 3. თავისუფლება მიხეილ სააკაშვილსა და ნიკა გვარამიას; 4. დეოლიგარქიზაციის კანონი, სასამართლო რეფორმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეფორმა.

წაიკითხავ და თმა ყალყზე დაგიდგება. უდიდეს ოპოზიციურ პარტიას მიაჩნია, რომ დღეს უმთავრესი პოლიტიკური მოთხოვნა მარტის აქციების დროს პოლიციელებისთვის „მოლოტოვის კოქტეილის“ დაშენაში ეჭვმიტანილი ვინმე ლაზარე გრიგორიადისის გათავისუფლებაა!

თავმჯდომარე ხაზეიშვილი აქციის თითოეულ მონაწილეს დაჰპირდა, ბრძოლა იქნება გამარჯვებამდე, ბრძოლა იქნება ძალიან რთული, მაგრამ ძალიან მოკლე დისტანციაზეო(?!).



„ბაკურიანით“ ზურგგამაგრებული ვაშაძე თითქოს სერიოზული ხელმძღვანელი უნდა გამხდარიყო მარტის მოვლენებისა, მაგრამ მასზე ფსონის დამდებებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ გიორგი ვაშაძის დიდი თავი დიდი ჭკუის მანიშნებელი სულაც არ არის.

ძალაუნებურად იფიქრებ, რომ მოკლე დისტანციაზე გამარჯვების რწმენა თვითონ ხაზაკას სიმოკლით არის ნასაზრდოები. ესეც საქმეა!

9 აპრილის აქციამ (მისი ძარღვი მიშა სააკაშვილის გათავისუფლება იყო) კიდევ ერთი დამამუხრუჭებელი ეფექტი მოგვიტანა. პირადად მე გამაოგნა ამ ამბავმა. სანამ 3-4-ჯერ არ მოვისმინე, აღქმა გამიჭირდა.

**მიტინგზე სიტყვით გამოვიდა გია ბუღაძე, მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე, განმანათლებელი, ულვაშა. გამოვიდა და სიტყვა-სიტყვით ეს თქვა: მივესალმები ჩემს ლეგენდარულ და დიდ პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს...ჩემს მთავარსარდალს ვუსურვებ ჯანმრთელობას, თავისუფლებას და საქართველოსა და უკრაინისათვის ბრძოლას... ქართველებად გავჩნდით იმიტომ, რომ ვიბრძოლოთ და არ შევეგუოთ განგებას. ეს გვასწავლა ჩვენ ზვიადმა და მერე ეს სული თითქოს გადმოვიდა მიხეილ სააკაშვილში. მასში ვნახე ის მარადიული ქართული სული, რომელიც დღეს ამათ (ვითომ ხელისუფლების და „ქართული ოცნების“ – ა. ა.) ხელში მძიმედ არის, მაგრამ როგორი ძლიერია, ამჩნევთ?! თავისი სხეულის ჯანმრთელობის ხარჯზე ჩვენ როგორ გვამხნევებს, სანთლად ანთია. ამიტომ გვჭირდება ჩვენ მიხეილ სააკაშვილი!**

გია ბუღაძისნაირ კაცებს ცხონებული ბებიაჩემი აკვირინე შეპყრობილებს უწოდებდა, ასეთ ხალხს უნდა ერიდოო, იტყოდა. კი ბატონო, ერიდები, მაგრამ ფეხებში რომ გედებიან? შარვლის ტოტებზე რომ გებღაუჭებიან?

ამასობაში აშშ-მ თავის ძვირფას და საყვარელ საქართველოს ისეთი ალიყური უთავაზა, პირდაპირ საარაკო: ოთხ ქართველ მოსამართლეს სანქციები დაუწესა „უმნიშვნელოვანეს კორუფციულ საქმიანობაში მათი ჩართულობის გამო“. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა განმარტა: ამ მოსამართლეებმა (მიხეილ ჩინჩალაძემ, ლევან მურუსიძემ, ირაკლი შენგელიამ, ვალერიან ცერცვაძემ) ბოროტად გამოიყენეს თანამდებობა, როგორც სასამართლოს თავმჯდომარეებმა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა, რითაც ზიანი მიაყენეს სასამართლოს უზენაესობას და საზოგადოების ნდობას საქართველოს სასამართლო სისტემის მიმართ.

და დასკვნა: ძალიან სანდო ინფორმაცია გვაქვს, მათ შორის ღია წყაროებიდან, რომ ეს მოსამართლეები ჩართული იყვნენ კორუფციაშიო.

ვერაფერს იტყვი, მაგრად არის ნათქვამი. ოღონდ, რაც უმალ შენიშნეს ჩვენმა გაფაციცებულმა ურწმუნო თომებმა, ამ ბრალდებებს დასაბუთება არ ახლავს. ჰოდა, ატყდა გნიასი, რომლის მოსალოდნელობაც ადრევე შენიშნა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა: ვშიშობ, აშშ-ს გადაწყვეტილება ევროპაში აღქმული არ იყოს, როგორც ნეგატიური სიგნალიო, ახლა არც ნიშნის მოგების და არც გახარების დროა და არც თავის მართლებისა, თუ არ გვინდა ოთხ ადამიანს გადავაყოლოთ ქვეყნის მომავალიო.

ერთი რამ აშკარაა. მართლაც არ ღირს ოთხ კაცს გადააყოლო ქვეყანა! ეს ზოგადად, თორემ ისე რატომ ერთი ღირსეული კაცის გამოც არ უნდა დაირაზმოს მთელი ხალხი?! ხომ ფაქტია, რომ ამ მოსამართლეების გვარები წლებია გვესმის, თანაც არა აღმატებულ ხარისხში. იქნებ ჯობდა უმალ, მაშინვე მათი ჩამოშორება სასამართლო სისტემიდან?

ახლა კი ერთი ვაი-უშველებელია ატეხილი, ოპოზიცია საგამოძიებო კომისიის შექმნას ცდილობს, პოზიცია აცხადებს, რომ საამაყო სასამართლო გვაქვს, რომ დაუშვებელია სუვერენულ სასამართლოში ჩარევა, იქნება ეს „შიდა თუ სხვა ქვეყნების“ მხრიდან. ამერიკის ელჩმა ქალბატონმა კელი დეგნანმა სულაც სცადა აშშ-ის სანქცია წარმოეჩინა შანსად საქართველოს სასამართლო სისტემაში კორუფციის აღმოსაფხვრელად.

და აქ გაისმა „ხმა სამარიდამ“: მომაკვდავმა ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა „ვივამედიდან“ მსოფლიოს თავისი ავტორიტეტული აზრი მიაწოდა: მე მილანძღავენ ჩემს ამერიკას. აზრზე მოვიდეს ყველა და დავდგეთ ისტორიის სწორ მხარეს, ნუ ვაძლევთ საშუალებას, აფურთხონ იმ ჯამში, საიდანაც წყალს ვსვამთ მთელი ეს დროო. ამ სანქციებით მიშამ მხარი დაუჭირა მარტში გარდახდილ ბრძოლებს. თუ ბევრად მძლავრად გამოვალთ, დასავლეთის მხარდაჭერა ერთი-ორად გაძლიერდებაო.

ეს სტრატეგიული დასკვნა მიშამ 9 აპრილს გააკეთა, როცა პარლამენტის წინ თავზარდამცემად მეჩხერი აქცია სულს ძლივს იბრუნებდა, მაგრამ, ბუნებრივია, მაშინ ამ მოწოდება-შეძახებამ საქმეს ვერ უშველა.

იხ. 9 გვ.

# განაცვებული პრეზიდენტი სალომეა, საფრანგეთიდან...



**ცნება – ტერმინ „ნაცში“ პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრს ვგულისხმობ და არა იმას, რასაც დიდი შოთა რუსთაველი გულისხმობდა „ვეფხისტყაოსანში“, როდესაც ფატმანის დასახასიათებლად თქვა: „კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა გოზი ნაცი“-ო. ამგვარი გაგებით „ნაცს“ საქართველოს პრეზიდენტს ვერ ვაკადრებ, თუნდაც იმიტომ, რომ მისი ამომრჩეველი ვარ. რა უნდა მექნა, გრიშა ვაშაძეს ხომ ვერ მივცემდი ხმას. ვიფიქრე, მაშინ ჯანდაბას, მოდი, ამ საფრანგეთში გამოზრდილ სუბიექტს მივცემ-მეთქი ხმას, მით უფრო რომ, ახალი წესით საქართველოს პრეზიდენტს ბევრი არაფერი ეკითხება-მეთქი, მაგრამ, ხომ იცით, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, – ისე მომივიდა, მარტო მე კი არა, საქართველოს მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას, პირველ ყოვლისა, მის გამპრეზიდენტებელს – ბიძინა ივანიშვილს.**

როგორც კი პრეზიდენტი გახდა, სალომე ზურაბიშვილმა წარმოიდგინა, რომ მართლა სახელმწიფოს მეთაური და მთავარსარდალია. ეს არც მიკვირს, რადგან ახლა ბევრი იბრალებს მინისტრობას, პროკურორობას, პოლიტიკოსობას, უფრო ხშირად კი, ექსპერტობასა და პოლიტოლოგობას. 31 მარტს საპარლამენტო სესიაზე გამოსვლისას, სალომე ზურაბიშვილმა საჯაროდ გვაჩვენა, რომ მას სხვებზე მეტად აქვს გამძაფრებული იმის შეგნება, რაც მას ქართველმა ამომრჩევლებმა დააბრალეს.

ახლა ისევ პარლამენტის სხდომაზე დავბრუნდეთ, სადაც ე.წ. პრეზიდენტს გასულ წელს მის მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში უნდა წარმოედგინა, მაგრამ, საქმეში ხარ? რის ანგარიში, რა ანგარიში! მისი გაკეთებული ეროვნული საქმე არავის უნახავს და რა იყო საანგარიშო!.. ერთი კი თქვა, საპრეზიდენტო არჩევნებზე მე დამოუკიდებელი კანდიდატი ვიყავიო, ისე აშენდა ჩვენი მტერი-მეთქი, გავიფიქრე, აბა ხმამაღლა ხომ ვერ შევუძახებდი „ისემც...“-მეთქი, ტელევიზორს ვუცქეროდი და გავაგონებდი რამეს, თუ? ეს ჩემს ნაცვლად, ყოფილმა პარლამენტის სპიკერმა, ყოფილმა „რესპუბლიკელმა“ ქოცმა, მერე შეუნიღბავმა ნაცმა, ახლა „ლელოს“ თუ „მდელოს“, მაგარმა წარმომადგენელმა უსუფაშვილმა მიახალა ე.წ. პრეზიდენტს: თქვენ დამოუკიდებელი კანდიდატი კი არა, ისე დამოკიდებული იყავით ივანიშვილზე, მეტი რომ არ შეიძლებაო. ამჯერად მართალი თქვა ქოცების ყოფილი ამირსპასალარის თინიკო ხიდაშელის მეუღლემ! იმ არჩევნებზე საარჩევნო კომისიის წევრი იყო და ოქმიც თავისხელით დაუწერია და ეცოდინებოდა ყველაფერი, ალბათ, იმაზე მეტიც, რაც ბევრმა როდი იცის!

ერთი სიტყვით, იმის გარდა დამოუკიდებელი კანდიდატი ვიყავიო რომ თქვა, სხვა არაფერი უთქვამს მის მიერ გაკეთებულ საქმეზე ქალბატონ პრეზიდენტსა და ამირსპასალარს, ანუ მთავარსარდალს. მოდგა და აკრიტიკა, აკრიტიკა კი არა, ტუქსა და ტუქსა ხელისუფლება, როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი. არა, საკანონმდებლო მთლიანად კი არა, არამედ უმრავლესობა, ანუ მმართველი პარტია.

მე არც ამ მთავრობის მეხოტბე ვარ და არც მმართველი პარტიისა. მმართველი პარტიის მეხოტბე ვერ ვიქნები იმის გამო, რომ ჯერ მავნე კოჰაბიტაცია გაიხადა პოლიტიკის საფუძვლად, მერე პრეზიდენტად ოდიოზური სუბიექტი მარგველაშვილი მოათრია და ხალხს დაშანტაჟებით აიძულა მისი არჩევა, მერე კი შეგნებით, ზნეობით, გაგებითა და მენტალურად არაქართველი (თუმცა ქართული გვარისა) ქალი აგვარჩევინა პრეზიდენტის პოსტზე; მთავრობის კი – იმიტომ, რომ ქვეყნის მტრებისა და ამრევი პროვოკატორების მიმართ სრულიად ლაჩრულ შემწყნარებლობას იჩენს, მაგრამ მათი უსამართლოდ ლანძღვასა და დამუნათებას ვერ შევეგუები, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე და პატრიოტი!.

ქვეყანაში თავისუფალი აზრი იზღუდება და მედიას გამოხატვის უფლებას ართმევენო, ჟურნალისტებს საქმიანობაში ხელს უშლიანო.

ამის მთქმელს, ალბათ, მხედველობაში პატიმრობაში მყოფი ყოფილი პროკურორის მოადგილე, მერე კი ტელეარხ ე.წ. „მთავარის“ უფროსი ნიკა გვარამია ჰყავდა, რომელიც შვიდი თუ რვა მილიონის მითვისებისთვის ზის ვირის აბანოში. მე არც პროკურორი ვარ და არც მოსამართლე, ამიტომ თავს ვერ დავდებ იმის ცოდნაზე, მართლა მოიპარა თუ არა ამ „ჟურნალისტმა“ მილიონები, მაგრამ ჩემი თვალით მინახავს და მომისმენია დედა როგორ აგინა გვარამიამ ერთ უაღრესად პატიოსან ფოტოჟურნალისტს, რომელიც ცამდე მართალი იყო, აგინა ღია ეთერში, მაშინ, როდესაც ის პატიოსანი კაცი იქ არ იყო, იქნებ, სულაც შვილებთან და შვილიშვილებთან იჯდა; მინახავს, როგორ აგინა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა შუა ქუჩაში საარჩევნო უბანზე მისულ ქალბატონს, მთელი ქვეყნის გასაგონად როგორ მიმართა კახელ მევენახეებს: ჩაგიფსით მაგ ღვინოშიო!

ეს არის გამოხატვის თავისუფლება, ქალბატონო პრეზიდენტო? ეს, იქნებ, საფრანგეთშია გამოხატვის თავისუფლება, მაგრამ საქართველოში ამგვარი „გამოხატვა“ სასიკვდილო დანაშაულია, თუმცა მისთვის პასუხი არავის მოუთხოვია, რადგან ძალოვნები იცავდნენ მის ხელშეუხებლობას, ქართველთა ერთი ნაწილი კი „დადედლებულან შიშისაგან, აღარ ვარგიან მამლადა“... თქვენ რომ ქართველი იყოთ გეცოდინებოდათ ეს! ან იქნებ ის არის ჟურნალისტური საქმიანობა, როდესაც ვიღაც უზრდელი გომბიო ოჯახში უვარდება კაცს და მის მოხუც მშობლებს შეურაცხყოფას აყენებს! ჰა? ასეა თქვენში, იქ? ხელისუფლება ძალადობის წამქეზებელიაო? თუ იმას გულისხმობს ე.წ. პრეზიდენტი, რომ პარლამენტზე შტურმის, პოლიციელებისთვის „მოლოტოვის“ კოქტეილების და ქვების მსროლელებს მხოლოდ ერთი ღამის პატიმრობა აკმარეს, მაშინ მართალი ყოფილა, მაგრამ ამას არ გულისხმობდა! მან იმ თავხედ ხულიგნებს, რომლებმაც პოლიციელები დასაწვავად გაიმეტეს, პარლამენტს ფანჯრები ჩაულეწეს, ქაშვეთის ეკლესიის კედლები დაჯღაბნეს, უთუოდ ნარკოტიკებით გაბრუებულები უაზროდ როკავდნენ, ხალხის ხმა უწოდა, რომელიც, ხელისუფლებას არ ესმის!

ე.წ. პრეზიდენტი რომ კითხულობდა თავის მოხსენებას, რომელიც არა მგონია, მისი დაწერილი ყოფილიყო, ასე მეგონა, სალომე ზურაბიშვილი კი არა, სალომე სამადაშვილი, ელენე ხოშტარია, დეპუტატი ბოკუჩავა, თუ სამნიძე ლაპარაკობდა, თუმცა ისინი დაწერილი ტექსტის გარეშე ილანძღებიან ხოლმე, ამან კი იმდენი ქართული არც იცის, რომ ნაცების ნააზრევი ზეპირად გადმოსცეს. ისე კი, ეტყობოდა, გვარიანი დატრენინგებული იყო, თორემ იმდენ იდიოტობას თავისით ვერ მოიფიქრებდა, რადგან რაღაც განათლება ხომ მაინც ექნება მიღებული იმ თავის სამშობლო საფრანგეთში.

მოკლედ, ეს იდიოტი ნაცხროვა არ გვეყოფოდა, ამათ ეს ე.წ. პრეზიდენტიც რომ არ დამატებოდა!

განსაკუთრებული გულისტკივილი და შეშფოთება გამოხატა ზურაბიშვილმა ჩვენი „ჩამორჩენილობისა“ და „გაუნათლებლობის“ გამო, რაც, თურმე, იმით გამოიხატა, რომ არ დავუშვით რუსთაველის გამზირზე პედერასტების, ტრანსგენდერების, ბისექსუალებისა და ათასგვარი სხვა „ორიენტაციის“ ავადმყოფების აღლუმი. მიკვირს, რადიკალური კულინარული ორიენტაციის ადამიანების უფლებებზე რატომ არ გაამახვილა ყურადღება ამ გულმოწყალე ქალბატონმა. კანიბალიზმი ანუ კაციჭამიობა კულინარული ორიენტაცია არ არის განა? კაცს რომ კაცის ცოლად შერთვა მოუნდება, ეს სექსუალური ორიენტაციაა და კაცს რომ კაცის ხორცის ჭამა უნდა ეს კულინარიული ორიენტაცია არ არის? ეს, თურმე, ჩვენი ყოფის მრავალფეროვნება ყოფილა და ჩვენ ეს მრავალფეროვნება არ გვინდა, მოსაწყენი ერთფეროვნება გვირჩევნია! ვავა, ჩქიმ ცოდა! ვაშინერს! ვაშინერს! (მეგრულად ეს საშინელებას ნიშნავს, რომლის შესატყვისი ზოგად ქართულში არ არის!)

ჩვენმა ხელისუფლებამ უცხოელი დაუძინებელი სტრატეგიული მეგობრების ფარული თუ აშკარა ზეწოლის მიუხედავად, მშვიდობა შეინარჩუნა და რუსეთთან კონფლიქტში არ ჩაება. სწორედ ეს მიიჩნია პრეზიდენტმა დემოკრატიის ღალატად და „საკუთარ სახლში“ ე.ი. ევროპაში დაბრუნებაზე უარის თქმად. სწორედ ამან გააბრაზა ასე! ოპოზიცია (რადიკალურ-პროვოკატორი!) გაახარა, ქართველი ხალხი გაანაწყენა, თუმცა ოპოზიციიდან საყვედური მაინც მიიღო: ადრე უნდა გაბრაზებულიყავითო, – უსაყვედურა უსუფაშვილმა თინა ამირსპასალარის (ყოფილის) მეუღლემ.

ტყუილა ირჯებით ყოფილო „რესპუბლიკელო“ და ახლანდელო „ლელოელო“, რამდენიც უნდა გაბრაზდეთ შენ და შენი პრეზიდენტი, ლელოს მაინც ვერ დადებთ ქართველების საჯარიმო მოედანზე. ასეა ეს!



**არც თუ უსაფუძვლოდ გაბრაზებული**

**ზურაბ ცუცქირიძე,**

ტელ. 555567537

# უმადურობა

## „უმადურობა უჯიშობის არის ნიშანი“!.. საინტერესოა, როგორი იქნება საქართველოს მეექვსე პრეზიდენტი?

**საქართველოში ოდითგანვე დაფასებული იყვნენ სიკეთის მკეთებელნი, ერთგულნი, წესიერნი, მადლიანი ადამიანები. მათ მიმართ გამოხატავდნენ პატივისცემას, მადლიერებას, ხოლო უზნეო, უმადური, ამპარტავანი და შურიანი არსებები ყოველთვის გარიყულნი იყვნენ საზოგადოებიდან. საძაგლობასა და ბოროტებას რა გამოლევს ამქვეყნად, მაგრამ ამჯერად ყველაზე დიდ ბოროტებაზე და სისაძაგლეზე – უმადურობაზე მინდა ყურადღება გავამახვილო. ამ ბოლო პერიოდში, ძალიან მომრავლდნენ ამ თვისების მქონე არსებები, რომელთაც მადლის შეფასება-დაფასების, მადლიერების გამოხატვის უნარი არ გააჩნიათ.**

ძალიან სამწუხაროა, რომ უმადური ადამიანები იყვნენ და არიან საზოგადოების ყველა ფენაში, მათ შორის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. უმადურობის კლასიკური მაგალითები გვიჩვენეს ჩვენმა პრეზიდენტებმა (გარდა ზვიად გამსახურდიასი). უმადურობა მათი ხელწერაა. ედუარდ შევარდნაძე მის დამფასებელ, პატივისმცემელ და ასპარეზზე გამომყვან ვასილ მჟავანაძეს არათუ ამაგი დაუფასა, არამედ უდიერად მოექცა და გზიდან ჩამოიშორა. მისი ამ უმადურობის მაგალითი ბრწყინვალედ გაიმეორე მისმა მოსწავლემ მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც ედუარდ შევარდნაძე, ვისი წყალობითად ის გახდა საქართველოს პირველი პირი, სანაგვეზე მოისროლა. საქართველოს მეოთხე პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა უმადურობა კვადრატში აიყვანა. მის პრეზიდენტად დამსმელს ბიძინა ივანიშვილს, რომელიც პატარა ბავშვივით დაატარებდა ქალაქ-ქალაქ და ეხვეწებოდა მოსახლეობას ეს კაცი პრეზიდენტად აირჩიეთო, არჩევისთანავე დაუპირისპირდა. ყველა მადლი და სიკეთე დაივიწყა და ლანძღვა-გინებით აიკლო.

საქართველოს მეორე, მესამე და მეოთხე პრეზიდენტებს უმადურობაში ტოლი არც მეხუთე პრეზიდენტმა ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმაც დაუდო. მან „ქართული ოცნების“ მესვეურებს „ახია ჩვენზეო“ ათქმევინა. მართლაც კი „ახია მათზე“ ის, რომ ვერ გათვალეს და კვლავ შეცდომა დაუშვეს, მიუხედავად მრავალი გაფრთხილებისა. მისი გაპრეზიდენტების გამო ბიძინა ივანიშვილმა სარეკლამო ბილბორდზეც კი მიიხატა თავი. თუმცა ქ-ნმა სალომემ მადლიერებას უმადურობა ამჯობინა და მისი მაგინებლებისა და ქვეყნის მტრების ბანაკში გადაბარგდა. საინტერესოა, როგორი იქნება საქართველოს მეექვსე პრეზიდენტი?









უნდა ითქვას, რომ ბიძინა ივანიშვილიც და „ქართული ოცნებაც“ არ აღმოჩნდნენ მადლიერნი იმათ მიმართ, რომელთა წყალობითაც შეძლეს ხელისუფლებაში მოსვლა. დიახ! ირმა ინაშვილს, დავით თარხან-მოურავს და სხვათა და სხვათა „ლომის წილი“ მიუძღვით „ნაცებისგან“ თავის დახსნაში. რომ არა „ციხის კადრები“ სათუო გახდებოდა სააკაშვილის რეჟიმის დამარცხება, მაგრამ რატომღაც „ქართულმა ოცნებამ“ პატრიოტულ ძალებს „რესპუბლიკური პარტია“ და მსგავსი სამშობლოს მოღალატენი ანაცვალა. ამიტომაც იმკის ახლა „ქართული ოცნება“ იმას, რაც დათესა.

**საქართველოს პატრიარქი თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში გრძანებს: „თუ ადამიანმა დაკარგა თანამდებობა – არაფერი დაუკარგავს, თუ დაკარგა ფული და ქონება - არაფერი დაუკარგავს, თუ დაკარგა ჯანმრთელობა – არაუშავს, შეიძლება მაინც დიდხანს იცოცხლოს, მაგრამ თუ დაკარგა მადლიერების გრძნობა – ყველაფერი უკვე დაკარგული აქვს.“**

ადამიანი, ვისაც არ გააჩნია მადლიერების გრძნობა – არაადამიანია. „ძაღლი უმადურ ადამიანზე უკეთესია“, გვამცნობს სპარსული ანდაზა, ხოლო ქართული სიბრძნე უმადურობას უჯიშობას აბრალებს, „უმადურობა უჯიშობის არის ნიშანი“.

**ლადო ქირია,**

**ზუგდიდიდან.**



# წარსულის დიდ კაცებსაც ჰგავდა, მომავლის მოქალაქეც იყო!..

## აკადემიკოსი გივი ცინცაძე

**აკადემიკოს გივი ცინცაძეს** გუშინ, 18 აპრილს 90 წელი შეუსრულდებოდა.

მან ცხოვრებისა და მოღვაწეობის შინაარსიანი და ნაყოფიერი გზა განვლო. იცხოვრა შემოქმედებითი და ძიებით დატვირთული ცხოვრებით და დატოვა კვალი – მისეული და გამორჩეული.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი გივი ცინცაძე იყო მეცნიერების კლასიკოსი, რომელიც თავის თავში აერთიანებდა სულიერ სიღრმეს, არაჩვეულებრივ მეხსიერებასა და მჭვრეტელობის გამორჩეულ ნიჭს.

წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკისა და ელექტრონიკის, ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიის ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს წევრი, აგრეთვე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რ.აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოების წევრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიდი და პროფესორთა საბჭოების წევრი, იყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი; „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს (ქიმიის სერია)", აგრეთვე „საქართველოს ქიმიური ჟურნალის", „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების კრებულისა" და ჟურნალ „მეცნიერება და ტექნოლოგიების" სარედაქციო კოლეგიების წევრი.

ხელმძღვანელობდა პ. მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის კომპლექსური ნაერთების ქიმიისა და რ.აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ლაბორატორიებს.

უაღრესად ფართო და მასშტაბურია გ. ცინცაძის მეცნიერული მოღვაწეობის დიაპაზონი. მისმა სამეცნიერო შრომებმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის ქვეყნებში. ბატონი გივის სამეცნიერო კვლევის შედეგები მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაშია შესული და ფართოდაა ციტირებული როგორც სამამულო, ასევე საზღვარგარეთის გამოცემებში. ეს შრომები დიდ ინტერესს იწვევს ქიმიის, მედიცინისა და სოფლის მეურნეობის დარგის სპეციალისტების ფართო წრეებში, რადგან მეცნიერის მოღვაწეობა ვრცელდება არა მარტო ფუნდამენტური კვლევის დარგზე, არამედ იგი გამოყენებით-პრაქტიკულ ხასიათსაც ატარებს.

პროფესორ გ. ცინცაძისა და მისი თანამშრომლების მიერ შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ბაზაზე შეიქმნა თანამედროვე კოორდინაციული ქიმიის არსებითად ახალი დარგი – ლითონების ფსევდოჰალოგენიდური კომპლექსების ქიმია, თანაც სრულიად განსხვავებულ ასპექტებში: სინთეზური ქიმია, სპექტროქიმია, სტრუქტურული ქიმია, კრისტალური სტრუქტურების შესწავლისა და კვანტურქიმიური გამოკვლევების ჩათვლით, ლითონების ფსევდოჰალოგენიდური კომპლექსების გამოყენებითი ქიმია.

კოორდინაციული ქიმიის სფეროში შესრულებული ნაშრომების ციკლისათვის – „ფსევდოჰალოგენიდების ქიმია", 1990 წელს გ. ცინცაძემ უკრაინელ და გერმანელ მეცნიერებთან ერთად, უკრაინის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა, ხოლო 1998 წელს, თანამშრომლებთან ერთად ნაშრომების ციკლისათვის „ლითონების კოორდინაციული ნაერთები: სინთეზი, აღნაგობა, თვისება" – საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

თეორიული გამოკვლევებიდან ყველაზე მეტად შთამბეჭდავია გამოკვლევები ბიოარაორგანული ქიმიის დარგში. მიკროელემენტების და სამკურნალო ნივთიერებების საფუძველზე ახალი ბიოკომპლექსების სინთეზმა, მათი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებისა და ელექტრონული სტრუქტურების შესწავლამ საიმედო ფუნდამენტი შეუქმნა ბიოლოგიური აქტივობის მექანიზმის გაგებას. გ. ცინცაძის ინიციატივით შექმნილმა ამ მიმართულებებმა – ნაერთების სინთეზმა, სპექტრულმა, მაგნეტოქიმიურმა, სტრუქტურულმა და სხვა თანამედროვე გამოკვლევებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა და ამჟამადაც ინტენსიურად მიმდინარეობს მრავალ სამეცნიერო ცენტრში (თბილისში, მოსკოვში, ბაქოში, კიშინიოვში, დონის-როსტოვში, ტაშკენტში, კიევში და სხვ.).

გ. ცინცაძის ნაშრომთა ციკლი, რომელიც რენტგენოსტრუქტურული ანალიზის მონაცემებზეა დამყარებული, საფუძვლად დაედო ბიოლოგიურად აქტიური ბიოარაორგანული კომპლექსების მიზანმიმართულ სინთეზს.

ბატონი გივი დიდ ყურადღებას უთმობდა საქართველოს მრეწველობაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საკითხებს. იგი მონაწილეობდა სტიბიუმის სულფიდის მიღების, ტექნოლოგიის დამუშავებისა და ამ ტექნოლოგიის რაჭის სამთოქიმიურ ქარხანაში დანერგვაში.

გ. ცინცაძემ დაამუშავა მადნეულის საბადოში ოქროსა და პალადიუმის განსაზღვრის მოდიფიცირებული მეთოდიკა. აქვე უნდა აღინიშნოს მისი შრომები ინდიუმისა და კადმიუმის სორბციული ქცევის შესახებ სამამულო ანიონიტების როდანიდულ ფორმებზე. ამ გამოკვლევების შედეგად შესაძლებელი გახდა წინაპირობები შექმნილიყო რიგი იშვიათი ლითონების დაყოფისა და გამოყენებისათვის.

გ. ცინცაძის სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგები, შესრულებული არაორგანული, კოორდინაციული და სტრუქტურული ქიმიის, კრისტალოქიმიის, სპექტროქიმიის, კვანტური ქიმიის, ქიმიის ისტორიის სფეროებში, თავმოყრილია მრავალ სამეცნიერო ნაშრომში, რომელთა შორის 16 მონოგრაფია, 14 სახელმძღვანელო და 8 საავტორო მოწმობაა.

ათეული წლების განმავლობაში ლექციებს კითხულობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ამავე უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სრული პროფესორი, მისთვის ჩვეული მაღალი პროფესიონალიზმით უძღვებოდა ახალგაზრდა თაობის აღზრდას საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ამ პერიოდში მისი ავტორობითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა სახელმძღვანელოები და სასწავლომეთოდური ლიტერატურა ზოგად და არაორგანულ ქიმიაში სამშენებლო, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, ჰიდროტექნიკის, მეტალურგიული და სხვა საინჟინრო სპეციალობის სტუდენტებისთვის. გ. ცინცაძის მონოგრაფიები ქიმიური პროფილის სტუდენტთა და სპეციალისტთა სამაგიდო წიგნებია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ცინცაძის მოღვაწეობა ქიმიაში საშუალო სკოლებისთვის სახელმძღვანელოების შესაქმნელად. მისი ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით დაიწერა ქიმიის სახელმძღვანელოები საშუალო სკოლის VII-XI კლასებისთვის, აგრეთვე, ამოცანებისა და სავარჯიშოების კრებული VII-XI კლასებისათვის, რომლებიც რამდენჯერმე გამოიცა.

აკადემიკოსი გივი ცინცაძე თავის ყველაზე დიდ მონაპოვრად მეცნიერ-მოწაფეთა დიდ პლეადას თვლიდა და მრავალ რეგალიებს შორის ყველაზე დიდ მიღწევად კოორდინაციული ქიმიის ქართული სკოლის შექმნას მიიჩნევდა. მის მიერ შექმნილი კოორდინაციული ქიმიის ქართული სკოლა მსოფლიოშია ცნობილი და აღიარებული. „ქართველი ახალგაზრდობა, ზოგადად ქართველი ხალხი – ნიჭიერებითაა გამორჩეული, ნიჭი „უფლის ნაბოძებია," მაგრამ ნიჭს სათანადოდ მოხმარება უნდა – ამას მადლი ჰქვია" – წერდა ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი გივი. იგი ადვილად შეიგრძნობდა ნიჭს, ამ ნიჭის „რიგიანად მოხმარების უნარის გამომუშავებაში" კი ყველას უშურველად ეხმარებოდა.

როცა მკვლევარი თავის ქვეყანაში რაიმე მეცნიერულ მიმართულებას, მეცნიერულ სფეროს ჩაუყრის საძირკველს – ეს უკვე უკვდავებაა მისი. გ. ცინცაძის მოსწავლეების „გეოგრეაფია" თუ „რუკა" თვით ახალ ზელანდიამდეა განვრცობილი. მისი აღზრდილები წარმატებით მოღვაწეობენ საქართველოში, რუსეთში, უკრაინაში, აზერბაიჯანში, გერმანიაში, კანადაში, აშშ-ში, თურქეთსა და ახალ ზელანდიაში.

აკადემიკოსი გივი ცინცაძე იყო აგრეთვე ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის, რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ტარას შევჩენკოს სახელობის კიევის ნაციონალური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედლის, გიორგი ნიკოლაძის მედლის, ღირსების ორდენის მფლობელი, დაჯილდოებულია ამერიკის ბიოგრაფიული ინსტიტუტის ვერცხლის მედლით, მეცნიერების ისტორიის საქართველოს საზოგადოების მედლით „მეცნიერებაში მიღწეული წარმატებისთვის" – მიღწევებისა და რეგალიების ეს არასრული ჩამონათვალი მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის მნიშვნელობის აღიარების დასტურია.

გივი ცინცაძის პრემიები და წოდებები იმ ღვაწლის დადასტურებაა, რომელსაც ის წლების მანძილზე თავდაუზოგავი შრომით ქმნიდა.

იგი ცხოვრების საზრისს ძიებაში ხედავდა, თავისი შრომის საოცარი უნარით „წარსულის დიდ კაცებსაც ჰგავდა და მომავლის მოქალაქეც იყო". რა სფეროშიც არ უნდა ემოღვაწა მას, ყველგან დააჩენდა თვალსაჩინო კვალს – მისეულსა და გამორჩეულს.

**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

---

# გამოდის პირველად!

**თანამედროვე სამართალწარმოებაში დამკვიდრებულია შეჯიბრებითობის პრინციპი. ბრალმდებელი და დამცველი ერთმანეთს ეპაექრებიან და ცდილობენ თავიანთი სიმართლე ამ გზით გაიტანონ. ამ ვითარებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საჭირო სამართლებრივი ფაქტებისა და მასალების ფლობას, არამედ საკუთარი პოზიციის მარჯვედ წარმოსაჩენად სიტყვიერი მარაგის სიუხვეს, ორატორულ წრთობას.**

არადა დღემდე არ არსებობდა არავითარი საამრიგო სახელმძღვანელო, წიგნი, რომლის მიხედვითაც იურისტი თავის სამჭევრმეტყველო უნარს გაიძლიერებდა, მოსამართლის წინაშე დამარწმუნებლად იმსჯელებდა. იურისტთა განათლების გზაზე არსებული ამ ხარვეზის აღმოფხვრაზე იზრუნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა **ირაკლი გაბისონიამ**.

სწორედ მისი ინიციატივით გადაწყდა, მომზადებულიყო სასწავლო წიგნი-ქრესტომათია, რომელშიც სასამართლო და დიპლომატიური მჭევრობის შედევრებიც შევიდოდა და მათი სათანადო კომენტარებიც, ასევე თავისი ადგილი დაეთმობოდა სამეცნიერო აპარატს: სამეტყველო ქცევას, მეტყველების სამკაულებს, კომუნიკაციის ისტორიას; საგანგებოდ იქნებოდა გარჩეული სამი კოლხი ორატორის ბრწყინვალე გამოსვლები; საგანგებო ყურადღება მიექცეოდა შესავალი და დასკვნითი სიტყვის მეთოდიკას; დიდად წაადგება საქმეს ისიც, რომ ფოლიანტს ერთვის საორატორო ლექსიკონი, პოლიტიკური იდეოლოგიების შესახებ საუბარი და ფიგურული სიტყვა-თქმანი.

პოლიტიკური და სამართლის მჭევრმეტყველების სანიმუშო მასალები გულმოდგინებით შეირჩა და ენობრივ-სტილისტურად საგანგებოდ დაიხვეწა.

ამ ტიპის ქრესტომათიული ნაშრომი პირველად გამოდის. მისი საერთო რედაქტორია აკადემიკოსი **დავით გურგენიძე**, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი. წიგნზე მუშაობდნენ პროფესორები: **ირაკლი გაბისონია, ვაჟა პაპასკირი, ჯემალ გაბელია, მურმან თავდიშვილი, დავით ხუფენია.**

იურიდიული და საერთაშორისო ურთიერთობის მიმართულების სტუდენტებს მართლაც რომ დიდებული საჩუქარი ეღირსათ. ახლა მათ შეუძლიათ უკეთ გაშალონ თავიანთი სასწავლო და პრაქტიკული საქმიანობა.

**გურამ წიკლაური,**
**მურმან თავდიშვილი**



(პირველი გვერდიდან) რა თქმა უნდა, ჩვენს სულსა და სხეულში ფესვგადგმული ცოდვისაგან თავის დახსნა ჭირს, რადგან ეშმაკი ათასნაირ მახეს უგებს მორწმუნეთ, რომ ღვთის გზა დაავიწყოს.

ამიტომაც ყველა ქრისტესმოყვარეს აუცილებლად ეკლიანი და ვიწრო ბილიკის გავლა მოუწევს და ამისათვის მზად უნდა ვიყოთ.

**დრო ისედაც დამძიმდა, მაგრამ არ შედრკეთ! მთავარია, ნებისმიერი ვითარებიდან სწორი დასკვნა გამოვიტანოთ, ღმერთს არ განვეშოროთ და მუდამ გვახსოვდეს მისი სიტყვები: „მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, შენი მარჯვენის განმამტკიცებელი, მთქმელი შენდა მომართ: ნუ გეშინია, მე შეგეწევი" (ეს.41.13); გვახსოვდეს და გჯეროდეს ისიც, რომ ბოლოს მაინც „უფლის მორწმუნეთ ყოველივე კეთილად წარემართებათ."**

უფალი ყველას სიყვარულით ელის თავისთან, განსაკუთრებით – მონანულ ცოდვილთ, თუნდაც რომ მეთერთმეტე ჟამის მუშაკნი იყვნენ ისინი და ზეცისკენ მიმავალ აღმართზე შეღგომასა და თანადგომას სთავაზობს მათ.

ასე რომ, წუთისოფლის ყოველი დღე მორწმუნეთათვის სულიერ სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ბრძოლის ასპარეზია. ამ ბრძოლაში გამარჯვება გვმართებს. ხსნის გზა

თუ მათ ჯვარცმისას უფალი მიატოვეს და ძრწოდნენ ქვეყნის მთავართა და მღვდელმთავართა შიშით, ახლა განძლიერდნენ; სულთმოფენობის შემდეგ კი დიდ საიდუმლოებებს ზიარებულნი იმდენად განმტკიცდნენ, რომ მზად იყვნენ, ყველგან და ყველას წინაშე დაუბრკოლებლად დაემოწმებინათ უფლის სწავლება და თავი დაედოთ მისთვის.

ეს რწმენა მოციქულებმა მთელ მსოფლიოს მოჰფინეს. **ყოველივე ეს საფუძველია მთელი ქრისტიანული სამყაროსათვის. იგი განაპირობებს ჩვენს მრწამსსაც და მეორედ მოსვლის შემდეგ ყველას სხეულებრივი აღდგომის გარდაუვალობასაც; ამიტომაც ბრძანებს მოციქული: თუ მიგაჩნიათ, „რომ მკვდრები არ აღდგებიან, არც ქრისტე აღმდგარა.**

**მაშ, ფუჭი ყოფილა ჩვენი რწმენა" (1კორ. 15:16-17), ხოლო ვისაც სჯერა აღდგომის, ყველას გვმართებს ზრუნვა, როგორც სულის, ისე სხეულის სიწმინდისათვის, რათა ჩვენზეც აღსრულდეს იესოს ნათქვამი: „ვისაც მე ვუყვარვარ, დაიცავს ჩემს სიტყვას, და მამა ჩემი შეიყვარებს მას, და მივალთ და მასთან დავივანებთ" (ინ.14.23).**

ზემოაღნიშნულზე კიდევ ერთხელ იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ ხშირად ჩვენთან გადამეტებულად და

**იყოს შემთხვევითობის შედეგი. მათი საერთო განწყობის გამომხატველია დიდი გერმანელი ფიზიკოსის, კვანტური ფიზიკის ფუძემდებლის, ვერნერ ჰაიზენბერგის სიტყვები: „მეცნიერების სასმისის პირველმა ყლუპმა, შესაძლოა, ათეიზმს გაზიაროს, მაგრამ სასმისის ბოლოს აუცილებლად ღმერთი გელოდება".**

ბუნება სიბრძნის, მშვენიერების, გონიერების ღვთაებრივი წიგნია, რომლის მართვა უფლისმიერი გონით ხდება და ეს ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა. დედამიწაზეც და კოსმოსშიც მოქმედებს დიდი კანონები და კანონზომიერებანი, რომლებიც ადამიანს არ დაუწესებია და ეს წესრიგი ჩვენი ნებისა და აზროვნების გარეშე არსებობს; ჩვენ კი მხოლოდ მათი შეცნობა შეგვიძლია და ისიც – ნაწილობრივ.

მინდა, გაგახსენოთ იერუსალიმში დიდებით შესვლისას მაცხოვრის სიტყვები: „ესენი (ადამიანები) რომ დადუმდნენ, ქვები დაიწყებენ ღაღადს" (ლკ. 19,40). და მართლაც, როდესაც ჯვარცმისას თითქმის ყველა განუდგა იესოს, უტყვმა ბუნებამ „ღაღადებით" ამცნო დიდება ღვთისა, – შეიძრა მიწა, დაბნელდა მზე, თავიდან ბოლომდე დაირღვა ტაძრის კრეტსაბმელი... რის ხილვამაც ყველა გააოგნა. ბუნება კვლავაც „ღაღადებს," მთავარია, სმე-

# ქვეყანაზე ზრუნვის მოტივით, მრავალი მხრიდან ისმის კატეგორიული აზროვნება, აგრესიული მეტყველება, რაც მოსახლეობაში მკვეთრ პოლარიზებას იწვევს!

გაკვალულია, მის გასავლელად კი ყველას პიროვნულად ჩვენი შრომა გვაქვს გასაწევი.

„სასუფეველი ცათა იძულებით; და რომელნი აიძულებდენ, მათ მიიტაცონ იგი" (მთ. 11, 12), – გვასწავლის მაცხოვარი; ანუ ცათა სასუფეველი დიდი ძალისხმევით მოიპოვება და ვინც ამ ღვაწლს გასწევს, ის დაიმკვიდრებს მასში ადგილს.

* * *

**როგორც აღვნიშნეთ, მაცხოვრის აღდგომის შემდეგ ძველი და ახალი აღთქმის მართალთა სულნი ღვთის საუფლოს მკვიდრნი გახდნენ და ხდებიან, მაგრამ მხოლოდ სულით მყოფობა ცათა შინა ჩვენთვის არ არის სრულყოფილი მდგომარეობა.**

მაცხოვრის გამომხსნელობითი ღვაწლით სული თავის უხრწნელ სხეულს აუცილებლად შეიმოსავს და როგორც ჯვარცმით მართალთა სულნი ერთიანად დახსნილ იყვნენ ჯოჯოხეთის ტყვეობისაგან და ზეციურ დიდებაში გადაინაცვლეს, ასევე ქრისტეს მეორედ მოსვლის შემდეგ მოხდება მკვდართა საყოველთაო აღდგომა.

„მოისმენენ საფლავში მყოფნი ღვთის ძის ხმას და გამოვლენ სიკეთის მოქმედნი სიცოცხლის აღდგომაში, ხოლო უკეთურებათა მოქმედნი სასჯელის აღდგომაში" (ინ.5:28-29).

გარდაცვლილ მართალთა ხვედრზე კი ასე წერს წმინდა წერილი: „ითესება ხრწნილებაში და აღდგება უხრწნელებაში, ითესება უძლურებაში და აღდგება ძლიერებაში, ითესება უპატიობაში, აღდგება დიდებაში, ითესება მშვინვიერი სხეული და აღდგება სულიერი სხეული" (1კორ. 15:42-44) და მაინც, რა არის ამის საფუძველი?

იესო ქრისტეს მიწიერი მყოფობა, ჯვარცმამდეც და ჯვარცმის შემდეგ ამაღლებამდეც, ნებისმიერი დროის მორწმუნე ქრისტიანისთვის ცხოვრებისა და აზროვნების წესის განმსაზღვრელია და „თუ გვწამს, რომ იესო მოკვდა და აღდგა, ასევე ღმერთი მათაც (მართლებს), რომელნიც დაძინებულნი (გარდაცვლილნი) არიან, თავისთან მიიყვანს იესოს მიერ" (1თეს. 4:14), ე.ი. სასუფევლისათვის აღადგენს სხეულებრივად.

როგორც აღვნიშნეთ, ეს დღე ყველა მიცვალებულისთვის მეორედ მოსვლის შემდეგ დადგება, მაცხოვარმა კი აღდგომისთანავე უხრწნელი სულიერი სხეული შეიმოსა და გახდა პირმშო შესვენებულთა (გამოცხ. 1,5).

წმინდა სახარება ბრძანებს, რომ იესო ქრისტე ასეთი სახით ორმოცი დღის მანძილზე ეცხადებოდა მენელსაცხებლე დედებს, თავის მოწაფეებს, გამოეცხადა ხუთასზე მეტ ადამიანსაც...

თავდაპირველად ვერც დედები და ვერც მოწაფენი ვერ იჯერებდნენ, რომ იგი აღდგა და ცოცხალია, რადგან აწ უკვე უხრწნელი, უკვდავი და უვნებო მისი სხეული სახეცვლილი იყო. მაგრამ ამ დღეების მანძილზე მათ მიეცათ მტკიცე რწმენა და ცოდნა ცათა სასუფეველში სულიერი სხეულით შემოსილ რჩეულთა მომავალი მყოფობის შესახებ, რომელთაც მაცხოვრის მსგავსი უხრწნელი სხეული ექნებოდათ და გააცნობიერეს საბოლოო და უმთავრესი მიზანი ღვთის განკაცებისა, – სრულყოფილი სახით, სულისა და უხრწნელი სხეულის ერთობით, – მარადიული სიცოცხლისა და სიხარულის მინიჭება ადამიანისთვის, ანუ აღდგენა მისთვის იმ მდგომარეობისა, რისთვისაც და როგორადაც იგი შეიქმნა.

ამიტომაც, როდესაც მოწაფეებმა ცად ამაღლებული იესო ქრისტე იხილეს, სიხარულით აღვსილნი დაბრუნდნენ იერუსალიმში.




უნუგეშოდ იციან გლოვა და მწუხარება.

მართალია, ახლობელთან განშორება ძალიან დიდი ტკივილია, მაგრამ თუ მორწმუნენი ვართ, უნდა გვჯეროდეს, რომ სიკვდილი იძლია მაცხოვრის მიერ, რომ გარდაცვლილ ახლობელთა სულები ცოცხლები არიან, უფრო მეტად ცოცხლები, ვიდრე ჩვენ ვართ. ჩვენ კი მათთვის, პირველ რიგში, სულიერი ზრუნვა გვმართებს, რაც ლოცვაში და მათ სახელზე სიკეთეთა ქმნაში გამოიხატება, რათა საყოველთაო განკითხვის ჟამს ჩვენი ეს ქველმოქმედება მათ მიეთვალოთ. ამასთან, ამგვარი ღვაწლი ამქვეყნად სიკეთედ შეგვერაცხება და ჩვენს მომავალ ცხოვრებასაც შეეწევა.

* * *

**სამწუხაროდ, ადრეც და, მით უმეტეს, ჩვენს დროშიც მრავლად არიან ადამიანები, რომელთაც ათეისტური აზროვნება აქვთ და მიაჩნიათ, რომ ღმერთი არ არსებობს, არ არსებობს არც ქრისტეს აღდგომა და არც საუკუნო ცხოვრება. მათი აზრით, ჩვენს გონებას დღეს თუ არა ხვალ შეუძლია, ყველა კითხვას გასცეს პასუხი და ჩაანაცვლოს ღვთის ყოვლისშემძლეობაც.**

**რა თქმა უნდა, იყვნენ და არიან ათეისტი მეცნიერებიც, რომლებიც ვერ ხედავენ სამყაროში შემოქმედის ნაკვალევს. ასეთ სულისკვეთებას ხელს უწყობს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების არნახული წარმატებები და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ჩვენს დროში; მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მრავალ უდიდეს მკვლევარს სწორედ მეცნიერულმა აღმოჩენებმა დაანახა კავშირი ქმნილებასა და ღმერთს შორის, დაანახა რომ სამყარო არ შეიძლება,**

ნის უნარი გვქონდეს და ვაღიაროთ, რომ ვერანაირი მატერია ვერ გახდება ცოცხალი თავისით, მით უმეტეს, სიცოცხლის გადამცემი შთამომავლობაში, და რომ მხოლოდ სიცოცხლე შობს სიცოცხლეს, რომლის საწყისიც არის მასში, ვინც არის სათავე მარადიული სიცოცხლისა და თავად სიცოცხლე.

„მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე" (ინ.14.6), – ბრძანებს მაცხოვარი.

* * *

**ქრისტიანული ცხოვრება, პირველ რიგში, გულისხმობს, მართებული წარმოდგენა გვქონდეს, თუ როგორ გამოვიყენოთ ღვთისგან ბოძებული უდიდესი საჩუქარი – თავისუფალი ნება, ანუ ჩვენი თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ნებისმიერ სიტუაციაში.**

თავისუფლება ადამიანმა შეიძლება დაკარგოს ძალმომრეობით და მის დასაბრუნებლად, ბუნებრივია, უნდა იზრუნოს; მაგრამ შესაძლოა, ადამიანმა თავისუფლება დაკარგოს ცრუ თავისუფლების სახელით და სულიერ მონობაში აღმოჩნდეს.

სამწუხაროდ, თანამედროვე საზოგადოების ნაწილი სწორედ ამ მდგომარეობაშია და თავისუფლებას მიიჩნევს ყველაფრის უფლებად, რაც მორწმუნე ადამიანისათვის კატეგორიულად მიუღებელია.

**ყველაფრის უფლების დამკვიდრება ხდება ზნეობრიობის უგულებელყოფით და ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობის დაკარგვით; მისი შინაარსის სრული სახეცვლილებითა და გაუკუღმართებით; ამიტომაცაა, რომ თავისუფლების, სიყვარულის, ადამიანის ღირსების შესახებ ყველა**

**საუგროგს, მაგრამ დღეს უკვე რადიკალურად განსხვავებული მნიშვნელობით.**

**ჩვენთვის თავისუფლება ნიშნავს საკუთარი თავის შეცნობას, სრულყოფისაკენ სწრაფვას, ჩვენი სულის სიღრმეში ღვთის ხატად შექმნილი ჩვენი დაფარული „მე“-ს პოვნას.**

**თავისუფლება სწორედ ამ რეალურ „მე“-მდე მიღწევა და მისი აღმოჩენაა, ცოდვითი ცხოვრებისგან განშორება და არასწორი წარმოდგენებისგან თავის დახსნაა.**

მოციქული გვეუბნება: „ყოველივე ნებადართულია ჩემთვის, მაგრამ ყველაფერი სასარგებლო როდია“ (1 კორ. 6:12).

იგივე მოციქული სხვაგან ბრძანებს: „ხოლო თქვენ თავისუფლებისათვის ხართ მოწოდებულნი, ძმებო, ოღონდ ეს თავისუფლება არ გახდეს საბაბი ხორცის საამებლად, არამედ სიყვარულით ემსახურეთ ერთმანეთს. ვინაიდან მთელ რჯულს ეს ერთი მცნება მოიცავს: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ (გალ. 5:13-14)

ამ სიტყვებით კარგად ჩანს, რომ ჭეშმარიტად თავისუფალი პიროვნება თავისუფალია ეგოიზმისგან და მისი ცხოვრება სიყვარულზე, ზნეობასა და სათნოებაზეა დამყარებული. ასეთ ადამიანთა სიმრავლე ქვეყნის სიძლიერეა.

ჩვენს საზოგადოებაში კი, ქვეყანაზე ზრუნვის მოტივით, სამწუხაროდ, მრავალი მხრიდან აქვს ადგილი კატეგორიულ აზროვნებას და მძლავრობს აგრესიული მეტყველება, რაც მოსახლეობაში მკვეთრ პოლარიზებას იწვევს.

ადამიანები ვერ აცნობიერებენ, რამდენად საშიშია ასეთი დამოკიდებულება სიტყვასთან.

**სიტყვა ენერგიაა, დადებითი ან უარყოფითი, და თანაც ძალიან ძლიერი, რომელიც თავის გავლენას, პირველ რიგში, მათზე ახდენს, ვისგანაც იგი წარმოითქმის, შემდეგ კი აისახება სხვებზე და საერთოდ გარემოზე;**

წმ. პატრიარქი ამბროსი ხელაია მოგვიწოდებს: „თუ დავუდებთ ჩვენს თავისუფლებას საფუძვლად ქრისტეს ზნეობრივ სწავლას და მისი იდეალების ცხოვრებაში განხორციელებას, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეგვიძლია, ვიყოთ სასარგებლო წევრნი სახელმწიფოსი.“

* * *

**ჩვენ ვცხოვრობთ რთულ პერიოდში, ფეთქებადსაშიშ დროში, როდესაც ბირთვული კატასტროფის საფრთხე რეალურია; ამიტომაც განსაკუთრებით ვფიქრობთ მშვიდობაზე, რომელიც არის ძვირფასი საღვთო ძღვენი.**

„ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, რამეთუ ისინი ძედ ღვთისად იწოდნენ,“ – გვასწავლის უფალი და ჩვენ, როგორც იესო ქრისტეს მიმდევრებს, გვაქვს ვალდებულება, სიტყვით, საქმით, მოქმედებით ვიღვაწოთ მშვიდობისათვის; მშვიდობით ვემსახუროთ ერთმანეთს და სამშობლოს.

მხოლოდ მშვიდობიანობის დროს არის შესაძლებელი, ნათლად გავაცნობიეროთ ჩვენი დანიშნულება და ღვთივმომადლებული უნარი წარმოვაჩინოთ; ხოლო იმ გარემოში, სადაც ადგილი აქვს მტრობას, ძალადობას, უსამართლობას, მშვიდობა ვერ დაივანებს.

ომი კი მშვიდობის საპირწონე, უკიდურესი ბოროტებაა, უფლის მცნებათა დარღვევაა და მრავალთა სიცოცხლის ხელყოფა.

**საუკუნეთა მანძილზე ჩვენი ქვეყანა მტერთა შემოსევებს იგერიებდა და მშვიდობა მუდამ სანუკვარი გვქონდა. დღესაც ქვეყანა უმძიმეს პერიოდს გადის და ძალისამებრ ჩვენისა გვმართებს, ვიზრუნოთ ჩვენი მშვიდობიანი ხვალინდელი დღისათვის, ვიზრუნოთ ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობისათვის, ჩვენს ძმებთან – აფხაზებთან და ოსებთან მშვიდობიანი თანაცხოვრების საფუძვლის შექმნისთვის.**

შევთხოვ უფალს, მოწყალე თვალით მოხედოს საქართველოს და დიდ ჭირთა და განსაცდელთაგან გვიხსნას.

ვკადნიერდები და ასევე ვთხოვ ტკბილ იესოს, როგორც აკურთხა მან მშვიდობით აღდგომის შემდეგ მოციქულები, უკრაინა და მთელი მსოფლიო ღირს-ყოს მიმართვისა: „მშვიდობა თქვენდა!“

* * *

**ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო!**

მაშ, ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით და ვიქადოდეთ ღვთისა და მოყვასის სიყვარულით.

ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით და შევიმოსოთ მისი ძლიერებით.

ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით, გვქონდეს სასოება ღმერთთან ერთობისა და ნუ იქნება ფუჭი ჩვენი რწმენა.

**ქრისტე აღდგა!**

ვიხარებდეთ ქრისტეს აღდგომით და ერთობით ვადიდებდეთ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, რომელსა შვენის პატივი და თაყვანისცემა უკუნითი უკუნისამდე.

**ამინ!**

**სიყვარულით თქვენთვის მლოცველი,**



**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი**

**თბილისი, აღდგომა ქრისტესი, 2023 წ.**



# „ჰიმნი დედაენას“ რეზო ლაღიძის ბოლო სიმღერაა!..

**...ეს წერილი ეხება რეზო ლაღიძეს და მის ერთ-ერთ შედევრს – „ჰიმნი დედაენას“: რამდენიმე წლის წინანდელი პუბლიკაციიდან ამოღებულ ამ ფრაგმენტს იმიტომ ვაქვეყნებ, რომ 14 აპრილს – დედაენის დღეს აშკარად მოუხდება ამ ისტორიის გახსენება, ისევე, როგორც „დედაენის ძეგლის“ ისტორია, რომელიც „საქართველოს რესპუბლიკის“ 13 აპრილის ნომერში წაიკითხა ჩვენმა გონიერმა მკითხველმა.**

## „ჰიმნი დედაენას!“

**ბედნიერი ვიყავი და ვარ, რომ რეზო ლაღიძესთან მაკავშირებდა სიახლოვე. მეგობრობა – არა! უფრო სხვა, მამაშვილური ურთიერთობა, რომლითაც „ვსარგებლობდი“ კიდეც... ზოგჯერ შეხუმრებით (არა ფამილარობით), ნებისმიერ დროს დარეკვის უფლებით, სადმე (რა თქმა უნდა, მისთვის სასიამოვნო წრეში) დაპატიჟებით...**

მის ზარს, თხოვნას, დავალებას, რეკომენდაციას კანონის ძალა ჰქონდა ჩემთვის, რამეთუ კარგად ვგრძნობდი, რომ ამ ნაბიჯის უკან ან მავანის ნიჭიერება იდგა (რომელსაც დიდოსტატის თვალი და სმენა უყოყმანოდ ამჩნევდა) ან, ისეთი ტკივილი, გაჭირვება-მოთხოვნილება, რომელიც აიძულებდა კეთილშობილებით აღსავსე და ერთობ გულჩვილ ადამიანს, საქართველოს მაშინდელი პარლამენტის დეპუტატს, „რკინის ქალამნები“ ჩაეცვა და ნებისმიერი , მათ შორის უმაღლესი რანგის ჩინოვნიკი მოურიდებლად შეეწუხებინა.

თავადაც უყვარდა და სიამოვნებდა ხელის გამართვა, თხოვნის შესრულება, მოფერება, გამხნევება... მეც, აკი ვთქვი ზემოთ, „ვსარგებლობდი“ მისი ამ თვისებით და შეკლული მყავდა ხელში: ამა თუ იმ კონკურსის ჟიურის წევრობა, რომელიმე ნიჭიერი ჭაბუკის მოსმენა და მისთვის რჩევის მიცემა, ახალგაზრდულ შეკრებებზე სტუმრობა და ასე შემდეგ... მაშინ ხომ სისტემატიურად ტარდებოდა საზეიმო თუ ღირსშესანიშნავი თარიღებისა და იუბილეებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები...

უარს არასოდეს გეტყოდა, ოღონდ... აი, ეს ოღონდ არის მთავარი. თუ სანადიროდ ან სათევზაოდ აპირებდა წასვლას და შენი თხოვნის შესრულებას შეეძლო ამ „წმინდა“ საქმისთვის ხელისშეშლა, განწირული იყავი შენც და შენი თხოვნაც. გამორიცხული იყო მისი დათანხმება. უკვე მისი „მტერი“ იყავი და შეიძლებოდა „გამოგეტყუა“ შენი პიროვნების ისეთი შეფასება, რომელთაგანაც ყველაზე რბილი და უწყინარი იყო სიტყვა „იდიოტო“!.. ნამეტანი შინაური უნდა ყოფილიყავი, ნამეტანი ახლობელი და საყვარელი, რომ ეს „წოდება“ დაგემსახურებინა. ერთი სიტყვით, სანადირო-სათევზაოდ გამზადებულ რეზოს ვერავითარი ძალა ვერ შეაცვლევინებდა გადაწყვეტილებას, რამეთუ ის სულიერად მდიდრდებოდა ბუნებასთან უშუალო შეხებით, ის იყო მისი შემოქმედების წყარო, ბუნების ჰანგებით საზრდოობდა მისი შთაგონება, მისი მუსიკა, მისი სიმღერები...

და მაინც, იყო ერთი შემთხვევა, როცა ბუზღუნით, ჩემი პიროვნების „შემკობით“ გულმოოხებულმა უარი თქვა სათევზაოდ წასვლაზე და როიალს მიუჯდა...

1977 წლის შემოდგომაზე აღინიშნებოდა სულმნათი იაკობ გოგებაშვილის უკვდავი „დედაენის იუბილე. მასშტაბი დიდი. ემოციებით, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსე დღეები და... ფინალი: ფილარმონიის დარბაზში დიდი საიუბილეო საღამო.

წინა დღით გენერალურ რეპეტიციას ვატარებთ. რა თქმა უნდა, ვღელავ, პასუხისმგებლობა ჩემზე და ჩემს გუნდზეა. რეჟისორი ნოდარ (ბიჭიკო) ჩხეიძე თავის სტიქიაშია, თან მამშვიდებს, თან სიურპრიზებით „ხუნძლავს“ პროგრამას, რიტმი ჩინებულია, სილაღე, განათება, ლექსები, ერთმანეთზე უკეთესი, გულში ჩამწვდომი სიმღერები მთლიანად საქართველოდან, მშობლიური ბუნების ულამაზესი კადრები... თითქოს ყველაფერი წესრიგშია, თითქოს წარმატება გარდუვალი იქნება, მაგრამ...

აკვიატებულად მაწუხებს იმის ფიქრი, რომ რაღაც მარილი მაინც აკლია ამ „ფინალურ აკორდს“...

„გამოვუტყდი“ ჩემს მოადგილეს, ჩემს მეორე „მეს“ თემურ ჟღენტს, მერე „შევბედე“ ბიჭიკო (ნოდარ) ჩხეიძეს და... სამივემ თითქმის ერთად, დანანებით „ვაღიარეთ“, რომ ის „მარილი“, რომელიც აკლია აქაურობას და რომელზედაც „ვწუწუნებ“ არის... სიმღერა „დედაენაზე“, კონკრეტულად და ზოგადად – მშობლიურ ქართულ ენაზე...

ჩხეიძემ მოკლედ მოჭრა: მორჩით ფანტაზიორობას, არ არსებობს ასეთი სიმღერა და მე საიდან გავაჩინო... ეს ერთი და მეორე (დამარცვლით) – უკვე გვიან არისო...

მართალს ამბობსო, ნოდარ-ბატონი, დაემოწმა თემურ ჟღენტი და მუდარით მიჩურჩულა, ნუ არევ ამ დაწყობილ საღამოსო...

აღარაფერი მითქვამს. უკვე საკმაოდ გვიანი გახლდათ და სამსახურში დავბრუნდი.

...შუაღამეს ერთი საათი აკლია და ვურეკავ ჩემს უფროს მეგობარს, რეზო ლაღიძეს. ტრადიციული ბოდიში, გვიანი ზარისა გამო... მამშვიდებს, არაფერია, უკვე გავდიოდი სახლიდან, სათევზაოდ მივდივარო... კი მაგრამ, ვეკითხები, ხვალ დედაენის იუბილეზე არ აპირებ მოსვლას? მაგ დროისთვის ფორმაში ვიქნები და, რა თქმა უნდა, გესტუმრებითო...

ვატყობ, ფუჭია ჩემი მცდელობა. სათევზაოდ გამზადებულ ბატონ რეზოს ახლა რომ შევბედო დარეკვის მიზანი, არ ამცდება მისეული „ნაზი“ შემკობა... მიხვდა, რომ რაღაც მაწუხებს და... დროზე მითხარი, რა გაწუხებსო! წვრილ-წვრილად მოვუყევი როგორი საღამო იქნება, ვინ მონაწილეობს, ვინ ესწრება და ასე შემდეგ... მივდივარ კულმინაციისკენ... და ბოლოს. სიმღერა აკლია ამ ყველაფერს და, ხომ არ დაწერ-მეთქი...

პაუზა... რომელი საათიაო, მკითხა... შუაღამე იქნება სულ მალე-მეთქი... იუბილე როდის არისო... ხვალ-მეთქი, ვუპასუხე. მერე, შენ სრულ ჭკუაზე თუ ხარო, მკითხა... სრულ ჭკუაზე რომ ვიყო, არ დაგირეკავდი, თანაც სათევზაოდ გამზადებულს-მეთქი... ისევ პაუზა! და... მართლა გამოუსწორებელი „ვიღაცა“ (!!!) ხარო, მაგრამ... რა ვქნა, ჩემთვის ძალიან საყვარელიო. თანაც, ისეთ რამეს მთხოვო... ქართულ ვაზს ვუმღერე... ტყესაც ვუმღერე და, ისე, დედაენით უნდა დამეწყოო და... კაი, კაი, ვიფიქრებო და გამოუმშვიდობებლად დამიკიდა ყურმილი.

* * *

**...ღამის ოთხი საათია. ჩემს სამუშაო კაბინეტში ვზივარ თემურ ჟღენტთან და თანამშრომლებთან ერთად. „დარჩენილ კუდებს“ ვამთავრებთ. და უცებ ზარი... ვეცი ტელეფონს. რეზოს ხმა: გამოვიდა, შე ოხერო, გამოვიდაო...**

სიხარულისგან ენა ჩამივარდა. გენიოსი ხარ-მეთქი, კომპლიმენტს არ ვიშურებ... ის კი, უკვე საქმიანად: 11 საათზე ფილარმონიაში მომიყვან მუსიკალური სკოლა-ინტერნატის გუნდს, „რუსთავს“ თავად მოვიყვან, ანზორ ერქომაიშვილი უკვე გავაღვიძეო...

ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში სიჩუმეა. ნახევარი საათი დასჭირდა ანსამბლის მომზადებას, „რუსთავის“ ბიჭებს კი უფრო ნაკლები და...

„აი ია, აი თითი...“ – გაისმა ბავშვების ტკბილი, გამაჟრჟოლებელი ხმა...

„ოი, დედა ენავ!!!“... დასჭექა „რუსთავმა“...

რეზოს გავხედე და... თვალებზე ცრემლი, ნოდარ ჩხეიძესაც თვალებზე ცრემლი... თემურ ჟღენტსაც წყლიანი თვალები... მივედი და რეზოს გადავეხვიე. მიჩურჩულა: არადა, რა თევზაობა ჩამიშალეო... მარა, ღირდა, ბიჭო, ამ სიმღერისთვის მისი გაცდენაო...

ალბათ ბევრია დღეს ცოცხალი, ვისაც ახსოვს, თუ რა ფურორი მოახდინა ამ სიმღერამ დედაენის საიუბილეო საღამოზე... ვიყავი ბედნიერი და ამაყი, არა ოდენ იმიტომ, რომ მართლა მაგარი, იმ დროისთვის გამოკვეთილად ეროვნული საღამოს ჩატარების და გამარჯვებისა გამო. არამედ იმისთვისაც, რომ საქართველომ საჩუქრად მიიღო გენიოსის მიერ შექმნილი ჰიმნი, რომელიც ადიდებს მშობლიურ ენას.



...მეორე დღეს საჩუქრად მივიღე რეზოს ხელით შექმნილი „დედაენის“ ნოტები, სათანადო, გულისამაჩუყებელი წარწერით.

ჩვენდა სამწუხაროდ, „ჰიმნი დედაენას“ იყო რეზო ლაღიძის მიერ შექმნილი ბოლო სიმღერა.

**ნუგზარ ფოფხაძე**



# ლიბერასტების მეშჩანური კონფორმიზმი

## აგრესიული ლიბერალების კიდევ ერთი გაფრთხილება

**ლევან რამიშვილი:**

**ქრისტიანობა ყველაზე დიდი სულიერი სიმახინჯეა, რაც კი არსებობს დედამიწაზე. ის აავადებს ადამიანს საკუთარი თავის მიმართ ღრმა და გაუცნობიერებელი სიძულვილით. და თუ ვინმეს ამ წუთას პროტესტის გრძნობა დაგებადათ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს სიძულვილი თქვენი თავის მიმართ ჯერ არ გაგიცნობიერებიათ...**

* * *

**ქრისტიანობა ეს სიმსივნის მეტასტაზია ადამიანის ფსიქიკასა და სხეულში. ქრისტიანობის ყველა პოსტულატი არასწორია. ქრისტიანობა ასწავლის ადამიანს, რომ მისი ნება მცდარია, რომ არსებობს სხვისი (ებრაული გამოშვების „ღმერთის“) ნება, რომელიც მის ნებაზე მაღლა დგას და რომელსაც იგი ბრმად უნდა დაემორჩილოს, მაშინ, როდესაც ადამიანის მთელი ფსიქიკური ჯანმრთელობა საკუთარი ნების პატივისცემასა და შეულახაობაზე დგას, და როდესაც მისი ნება თავისი თავის წინააღმდეგ მიდის, და გარედან მოსულ სხვა ნებას ნებდება, ის წყვეტს საკუთარი თავის პატივისცემას, სიყვარულს, უქვეითდება თვითშეფასება, და ეწყება ყველა სახის ფსიქოლოგიური პრობლემა და ფსიქიკური აშლილობები.**

**აგრესიულმა ლიბერალებმა ბრძოლის ველზე თავიანთი მთავარი ქვემეხი ლევან რამიშვილი გამოაგორეს. ამ ორიოდ დღის წინ გამოქვეყნდა მისი მორიგი „ოპუსი“, რომელიც სრულად არის გაჟღენთილი ზიზღით, გოროზებით და სისულელეებით.**

ცხადია მის ამ „ნაღვაწს“ სრულად არ შემოგთავაზებთ, უბრალოდ რამდენიმე ამონარიდს ჩემს კომენტარებს დავუთმობ (მიუხედავად იმისა, რომ ამ არსებისთვის ჩემი ყურადღება ძალიან ზედმეტად მიმაჩნია, მაინც საჭიროდ ჩავთვალე, რადგან უნდა ვიცოდეთ, რა ჯურის ტიპები ებრძვიან საქართველოს, ქრისტიანობას, სიყვარულს და საერთოდ ყველაფერს ჯანსაღს).

**ლევან რამიშვილი – ქრისტიანობა ყველაზე დიდი სულიერი სიმახინჯეა, რაც კი არსებობს დედამიწაზე. ის აავადებს ადამიანს საკუთარი თავის მიმართ ღრმა და გაუცნობიერებელი სიძულვილით. და თუ ვინმეს ამ წუთას პროტესტის გრძნობა დაგებადათ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ეს სიძულვილი თქვენი თავის მიმართ ჯერ არ გაგიცნობიერებიათ...**

როგორც ხედავთ, მისი პირველივე სიტყვები ქრისტიანობის სიძულვილით არის გაჟღენთილი და თანაც უბრალოდ გაჟღენთილი კი არა, გაჯერებული. იმდენად სავსე, რომ აღარ ეტევა და გარეთ გადმოდის.

**ლევან რამიშვილი: ქრისტიანობა ეს სიმსივნის მეტასტაზია ადამიანის ფსიქიკასა და სხეულში. ქრისტიანობის ყველა პოსტულატი არასწორია. ქრისტიანობა ასწავლის ადამიანს, რომ მისი ნება მცდარია, რომ არსებობს სხვისი (ებრაული გამოშვების „ღმერთის“) ნება, რომელიც მის ნებაზე მაღლა დგას და რომელსაც იგი ბრმად უნდა დაემორჩილოს, მაშინ, როდესაც ადამიანის მთელი ფსიქიკური ჯანმრთელობა საკუთარი ნების პატივისცემასა და შეულახაობაზე დგას, და როდესაც მისი ნება თავისი თავის წინააღმდეგ მიდის, და გარედან მოსულ სხვა ნებას ნებდება, ის წყვეტს საკუთარი თავის პატივისცემას, სიყვარულს, უქვეითდება თვითშეფასება, და ეწყება ყველა სახის ფსიქოლოგიური პრობლემა და ფსიქიური აშლილობები.**

ნამდვილად არ შევალ არც თეოლოგიურ და არც ფსიქოლოგიურ კამათში.

არ შევალ, რადგანაც მისი და მისი მსგავსი არსებების დიაგნოზი ძალიან მარტივია – ისინი სულით, თავიანთი არსით მონები არიან. საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსების მონები და ცდილობენ მსგავსი აგრესიით უკბინონ, დააზიანონ ნორმალური ადამიანები. ისინიც თავიანთ ჭკუაზე დააყენონ, რადგანაც შინაგანად ვერ იტანენ თავისუფალ ადამიანს. ვერ იტანენ ადამიანს, ვისაც სიყვარული შეუძლია. ვისაც უხარია ყოველი დღის გათენება და რაც მთავარია, სიცოცხლე უხარია.

ჩვეულებრივი მონები არიან, ოღონდ ისეთი კი არა, ვინც თავისუფლებისთვის იბრძვის - პირიქით. ზომბების მსგავსად კბენის ლტოლვა აქვთ და სხვების დასნებოვნებაც სურთ.

**ლევან რამიშვილი:** ქრისტიანობა მახინჯი და ბოროტია თავისი არსით. ქრისტიანობა ასწავლის ადამიანს, რომ მისი სხეული „ბინძურია“, რომ სექსი (რომელიც დასაბამიდან ჩამონტაჟებულია მის სხეულში) „ცოდვაა“, რომ ჰომოსექსუალური სიყვარული „საზიზღრობაა“... ის თავადვე ქმნის დანაშაულს ადამიანში (სექსუალურობა და ყველა მისი გამოვლინება ხომ თავად „ღმერთმა“ შექმნა ადამიანში!), და შემდეგ სასტიკად სჯის მას ამისთვის.

აბა როგორ უნდა აუხსნა ამას, რომ სექსი სხვა რამეა და სიყვარული სხვა?

როგორ უნდა აუხსნა, რომ სექსი ცხოველებსაც აქვთ და ის მხოლოდ გამრავლების პროცესია. სიყვარული კი ორი ადამიანის ერთსულ და ერთხორცად გარდაქმნაა.

როგორ უნდა აუხსნა, რომ ცოდვა აღვირახსნილობაა, ხოლო ქორწინება და ჯანსაღი სექსი ორი ადამიანის კავშირის უმაღლესი გამოვლინება.

ეს ყველაფერი რომ არ იცის, ნამდვილად არ მიკვირს. სიყვარულს რომ თავი დავანებოთ, არც მან და არც მისმა მსგავსმა ავადმყოფებმა სექსიც არ იციან რას ნიშნავს.

არ იციან და არც ეცოდინებათ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ არა მგონია არსებობდეს ისეთი ნორმალური ქალი, ან კაცი, ვინც ამათთან დაწვება და თუნდაც ცხოველურ ვნებას დაიკმაყოფილებს.

არ იციან და ვერც გაიგებენ, რომ სიყვარული, თუნდაც ფარული, თუნდაც ოფიციალურად გაუფორმებელი, მათს ცხოველურ ლტოლვაზე გაცილებით მეტია და ისე მაღლაა, როგორც ზეცა ქვესკნელისგან.

კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა ის მიზეზი, თუ რატომ გადავწყვიტე ამ წერილის დაწერა და იმ სისულელეების ამონარიდებად მოყვანა, რასაც ეს და მისი მსგავსი არსებები აფრქვევენ.

მსგავსი ნაძირალობა საშიშია არა ადამიანის სულიერი ცხოვრებისთვის, არამედ უბრალოდ ფიზიკური არსებობისთვის.

**ლევან რამიშვილი:** დაბოლოს ერთი ლოგიკური კითხვა: თუ იმდენად ღრმად გწამთ „ღმერთის“ არსებობის, რომ მზად ხართ მისი თუნდაც დამანგრეველი პროგრამები საკუთარი ფსიქიკითა და სხეულით ატაროთ, მაშინ სიკვდილის რაღატომ გეშინიათ? და ამ ყველაფრის შემდეგ ხომ არ ინებებდით იმაზე დაფიქრებას, რომ თქვენ, 21-ე საუკუნის შვილი, თქვენს შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, შესაძლოა დღესაც კი იმის მსხვერპლი ხართ, რომ ოდესღაც, რამოდენიმე ათასი წლის წინ, ადამიანმა აღმოაჩინა, რომ შიში (კონკრეტულად კი „ყველგანმყოფი და ყოვლისშემძლე“ არსების მიმართ ირაციონალური შიში) სოციუმის მართვის ყველაზე ადვილი და ეფექტური საშუალებაა?

* * *

**ნამდვილად არ ვარ ისეთი ადამიანი, რომელიც ეკლესიურად ცხოვრობს და ცდილობს ყველაფერი სწორად აკეთოს. მეც საკმაო რაოდენობის ცოდვები მაქვს და სავარაუდოდ კიდევ ჩავიდენ, მაგრამ არასდროს შევეგუები იმ ფარის დანგრევის მცდელობას, რაც მიცავს მეც, ჩემს ოჯახს, ჩემს საყვარელ ადამიანებს.**

და ამ ამონარიდთან დაკავშირებით უბრალოდ ვიტყვი, რომ მე სიკვდილის ნამდვილად არ მეშინია. არ მეშინია ჯერ ერთი იმიტომ, რომ ის გარდაუვალია და ადრე თუ გვიან, მოვა. მეორეც იმიტომ, რომ თუნდაც ენერგიის შენახვის კანონიდან გამომდინარე, რომ ენერგია არ იკარგება და ის ერთი ფორმიდან მეორეში გარდაიქმნება, დარწმუნებული ვარ, რომ სული, ფიქრის და აზროვნების ენერგია, სიყვარულის ენერგია არ დაიკარგება და დღევანდელი ფორმიდან სხვა უფრო უკეთეს ფორმად გარდაიქმნება.

ხოლო ის, რასაც ზოგიერთი „სიკვდილის შიშს“ უწოდებს, სხვა არაფერია, თუ არა მიჩვეული ცხოვრების დატოვების და სხვაგან უცხო ფორმაციაში გადასვლის შიში.

ყოველთვის დავეთანხმები იულიან სემიონოვის ნაწარმოების გმირს პასტორ შლაგს, რომელიც პასუხობს ვინმე კლაუსს, რომელიც აგრესიულად ამტკიცებს, რომ ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა.

**– შენ ადამიანში ხედავ მაიმუნს, მე კი ღმერთს.**

ეს ფრაზა ნამდვილად არ არის რელიგიური დოგმა. ის გაცილებით მეტია ვიდრე დაწერილი კანონი. მეტია, რადგან ეს ფრაზა განსაზღვრავს ადამიანის შინაგან მდგომარეობას. იმას, თუ რას ხედავს - მაიმუნს, თუ ადამიანს.

ეს აგრესული ლიბერალები კი, რომელთა გურუს საქართველოში ლევან რამიშვილი წარმოადგენს, სწორედაც მაიმუნს ხედავენ და სავარაუდოდ, ასეც დარჩებიან.

ის აგრესიული ლიბერალიზმი, რომელიც ამ ბოლო ხანს მთელს მსოფლიოში იფრქვევა, ტერორიზმისთვის ძალიან ნოყიერი ნიადაგია. მათი ყოვლად მახინჯი იდეების გავრცელება საზოგადოებაში იწვევს დაუცველობის განცდას და ქვეცნობიერში გარდაუვალი აპოკალიფსის მოლოდინის განცდას.

ყველას გვახსოვს ტრაგედია, რომელიც პარიზში დატრიალდა. ტერორისტების ჯგუფი შეიჭრა ჟურნალ „შარლი ებდოს“ რედაქციაში და თორმეტი თანამშრომელი დაუნდობლად მოკლა.

ცხადია ამას საკმაოდ დიდი საპროტესტო ტალღა მოჰყვა. პარიზში მრავალი ქვეყნის პირველი პირების მონაწილეობით ანტიტერორისტული მარშიც ჩატარდა, მაგრამ არ თქმულა ტერაქტის ნამდვილი მიზეზი. არ თქმულა ის, რომ „შარლი ებდოს“ კარიკატურისტებმა (დიახ, სწორედაც რომ კარიკატურისტებმა და არა ჟურნალისტებმა, როგორც მათ უწოდებდნენ), რომლებიც აგრესიული ლიბერალიზმის სულისკვეთებით იყვნენ განმსჭვალულნი, თავად მოახდინეს იმ ხალხის პროვოცირება, რომელთათვისაც მუჰამედი რწმენაა და თავიანთი კარიკატურებით, წარმოუდგენელი შეურაცხყოფა მიაყენეს მილიონობით ადამიანის რელიგიურ გრძნობებს.

ამას კი სამწუხარო, დიახ, მართლაც სამწუხარო შედეგი მოჰყვა.

თუ დღევანდელ ქართველ „აგრესიულ ლიბერალს“ დავაკვირდებით, ნათლად დავინახავთ, რომ მისი შინაგანი მდგომარეობა რომანტიკულად იდუმალი უცნაურობიდან, გარდაიქმნა დემონიზებულ, მონსტრისებულ, მანიაკალურ და ნორმალური ადამიანისთვის გაუგებარ ფორმაციად.

ისინი ძალიან ჰგვანან ქიაჩელისა და მელვილის კაპიტნებს („ჰაკი აძბა“, „მობი დიკი“). 80-90-იანების შემდეგ, მათი ჰეროიკული ფიგურები დაკნინდა და თავისუფლების, დემოკრატიის, ხალხის ჭეშმარიტი ნების განმასახიერებელნი, შინაგანად ღატაკ, გონებაშეზღუდულ ფანატიკოსებად იქცნენ.

მათი თითქოსდა „განათლებული გონება“, ვიწრო დოგმებში მოთავსდა (სიტყვა „თითქოსდა“ იმიტომ ვახსენე, რომ ჭეშმარიტად განათლებული გონება ვერანაირ დოგმებში ვერ მოთავსდება). მათ ამ დოგმებით, ცხოვრება გაიმარტივეს და მათთვის საჭირო აღარ გახდა დემოკრატიისა და ლიბერალიზმის ცოცხალ ადამიანთან მისადაგება, რითაც დაშორდნენ სიმართლეს, დაშორდნენ იმას რასაც ჭეშმარიტი ცივილიზაცია ჰქვია.

ამ სულიერი სიბრმავის გამო, მათ ყველა უმაღლესი საკაცობრიო ფასეულობა ტირანიად აქციეს. ცივილიზაცია ჩარჩოებში მოათავსეს და თავისუფლება ცხოველურ ვნებებამდე დაიყვანეს.

ერთმანეთში არეული ფილისტერულ-მეშჩანური კონფორმიზმი, უპრინციპობაში გადასული უაზრო პრინციპულობა და „ახალი ადამიანის“ შექმნის იდეაფიქსი, ფატალურად ეწინააღმდეგება ადამიანურ ღირსებას, ერთგულებას, სიყვარულს და სიმართლეს.

მათ გაიარეს ევოლუციური გზა მონღოლური აზროვნებიდან ტროცკამდე და საბოლოოდ გავლენიან არასამთავრობო სექტორამდე მივიდნენ.

წერილს კი ამერიკის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის იმ სიტყვებით დავამთავრებ, რომლითაც მან რამდენიმე წლის წინ შეუტია ბოლო წლებში აშშ-ში ლიბერალური პოლიტკორექტულობის გავლენით დამკვიდრებულ მოცემულობას, როცა საზოგადოების ნაწილი იყენებდა გამოთქმას „ბედნიერ შობას გისურვებთ!“ და მის ნაცვლად ერთმანეთს ბედნიერ არდადეგებს უსურვებდა.

– ისინი აღარ იყენებენ სიტყვა შობას, რადგან ეს პოლიტიკურად კორექტული არ არის. ჩვენ კვლავ ვამბობთ: ბედნიერ შობას გისურვებთ!



**მე კი გეუბნებით – გილოცავთ უბედნიერეს უფლის ბრწყინვალე აღდგომას!..**

**გია გაბრიჭიძე**

# საღლაბუცო არ გველევა, მაგრამ რა გვეღლაბუცება?!

(მესამე გვერდიდან)

საბოლოოოდ კი ერთი რამ აშკარად იკვეთება: მოსამართლეთა დასანქცირება პირველი ნაბიჯია, მას სხვა დარგები მოჰყვება. ეს, ალბათ, რეაქციაა ამერიკის მოხშირებულ კრიტიკაზე, ოღონდ ეს კრიტიკა, უფრო სწორად, მოკრძალებული შენიშვნები რატომ აღიქმება ჩვენგან ასე მტკივნეულად, მაშინ, როდესაც ეს ხმა უკვე საკმაოდ მწყობრად გაისმის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან:

> **„იყო აშშ-ს მოკავშირე, არ ნიშნავს იყო მისი ვასალი, ან არ ნიშნავს იმას, რომ არ გვაქვს უფლება დამოუკიდებლად ვიფიქროთ. პარიზი მხარს უჭერს „ერთი ჩინეთის“ არსებობას (ვაშინგტონისგან განსხვავებით – ა. ა.). ევროპამ უნდა შეამციროს დამოკიდებულება აშშ-ზე და თავიდან აირიდოს ამერიკასა და ჩინეთს შორის კონფრონტაციაში ჩართვა. საფრანგეთი მიიჩნევს, რომ ევროკავშირი არ უნდა ექვემდებარებოდეს დიდი და ძლიერი ამერიკის წესებს როგორც დამჯერი ძაღლი“ – საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი;**

„ევროპა უნდა მიჰყვეს მაკრონის რჩევას და, ამერიკის ინტერესების გატარების ნაცვლად, საკუთარი ინტერესების დაცვაზე უნდა იზრუნოს. აშშ შესაძლოა მართლაც არის ნომერ პირველი ზესახელმწიფო, მაგრამ მსოფლიოში ყველა არ თვლის უალტერნატივოდ, რომ ვაშინგტონის კარნახს დაემორჩილოს“ – ევროკომისიის პრეზიდენტი ვიოლა ფონ კრამონი;

„ევროპა ბრმად ვეღარ გაჰყვება ამერიკას, იგი მიესალმება მაკრონის იდეას „სტრატეგიული ავტონომიის“ შესახებ“ – ევროსაბჭოს პრეზიდენტი შარლ მიშელი.

ახლა ამ ბოლო დღეების დიდ ევროპულ განცხადებებს დაუმატეთ ბი-ბი-სის ჟურნალიტური გამოძიება მსოფლიოში არსებული თაღლითური ქსელის შესახებ, რომელსაც, თურმე, ხელმძღვანელობს საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი და მისი ხუთი კომპანიონი (ყველა საქართველოს მოქალაქე, რომლებიც ძარცვავდნენ ევროპელ პენსიონერებს, ნაძარცვის საერთო თანხა ერთ მილიარდ დოლარს აღწევს). შეგიძლიათ გაისიგრძეგანოთ ატეხილი სკანდალის სიღრმე და სიგანე?..

ისე რომ, სახალისო და საღლაბუცო არ გვაკლია, მაგრამ როდემდე უნდა ვიხალისოთ და ვიღლაბუცოთ? და საერთოდ, რა გვეღლაბუცება?..

მოგეხსენებათ, დავით კეზერაშვილი საქართველოში ცნობილი მედიამენეჯერი და ზოგიერთი პარტიის დამპურებელია. საინტერესოა, ამ საზიზღარ ფაქტს რა გამართლებას მოუძებნიან ის ტელეარხები და პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სწორედ მისი წყალობით ჭამენ კარაქიან პურს? მე, პირადად, მართალი გითხრათ, ვახო სანაია და მისი „ფორმულა“ მანამდეც არ მეხატებოდა გულზე, ახლა კი კარაქიც არ დამენახება თვალით!..

**ალეკო ასლანიშვილი**



**მოგეხსენებათ, დავით კეზერაშვილი საქართველოში ცნობილი მედიამენეჯერი და ზოგიერთი პარტიის დამპურებელია. საინტერესოა, ამ საზიზღარ ფაქტს რა გამართლებას მოუძებნიან ის ტელეარხები დ პარტიული ორგანიზაციები, რომლებიც სწორედ მისი წყალობით ჭამენ კარაქიან პურს?**



# დავიცვათ ქართული ხელოვნება და კულტურა ფალსიფიკაციისგან!

**საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივითა და ირაკლი ფარჯიანის ფონდთან თანამშრომლობით, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ამიერკავკასიაში პირველი ხელოვნების ნიმუშების ექსპერტიზის სახელმწიფო ლაბორატორიის შექმნის პროცესი გრძელდება.**

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ლაბორატორიის უპირველესი მისია ქართული ხელოვნებისა და კულტურის ფალსიფიკაციისაგან დაცვაა.

**ხელოვნების მუზეუმში გარემონტდა და შესაბამისი სტანდარტებით მოეწყო 542,2 კვ.მ. სივრცე. შეძენილი ძვირადღირებული აპარატურა კი უკვე განთავსდა ლაბორატორიაში (რამანის ოპტიკური მიკროსკოპი/სპექტრომეტრი, ბრუკერის ინფრაწითელი მიკროსკოპი/სპექტრომეტრი, და სხვ.). ხელოვნების ნიმუშების ექსპერტიზის სახელმწიფო ლაბორატორიის პროექტი ირაკლი ფარჯიანის ფონდთან კონსულტაციითა და მონაწილეობით შემუშავდა. ასევე, 2022 წლის ბოლოს, სხვადასხვა პროფილის სპეციალისტებს – ხელოვნებათმცოდნეებს, ქიმიკოს-რესტავრატორებსა და რადიოლოგებს ჩაუტარდათ ტრენინგი; მათ შეისწავლეს აღნიშნულ აპარატურასთან მუშაობა, საექსპერტო პროცესში მისი გამოყენება (ექსპერტიზის პროცესის მართვა, ქიმიური და ტექნოლოგიური კვლევის ჩატარება) და შესაბამისი დასკვნების მომზადება.**

ექსპერტიზის ლაბორატორიის მოწყობის პროცესს **თეა წულუკიანი** გაეცნო. მინისტრმა, მხატვარ ირაკლი ფარჯიანის შვილთან, სოფო ფარჯიანთან ერთად, ლაბორატორიის მუშაობა და სამომავლო გეგმები განიხილა.

**დღემდე გატარებული ღონისძიებების შედეგად, 2023 წლის ზაფხულში, შესაძლებელი იქნება ხელოვნების ნიმუშების (ფერწერა, გრაფიკა, ქსოვილის, ქაღალდის, ქვის, ხისა თუ ლითონისაგან დამზადებული ექსპონატები) საცდელი კვლევის ჩატარება. ამისათვის, ლაბორატორია იწყებს ეროვნულ მუზეუმში, მათ შორის, ხელოვნების მუზეუმში დაცული სახელოვანი მხატვრების, პირველ რიგში კი ფიროსმანის ნამუშევრებიდან მიკროსკოპული ნაწილაკების შეგროვებას და ლაბორატორიისათვის აუცილებელი, ე.წ. კარტოთეკის შექმნას. მოცემულ პროცესში, ესპანელი ექსპერტიც იქნება ჩართული. სწორედ მოცემული ნაწილაკების ლაბორატორიული დადარების შედეგად გახდება შესაძლებელი ამა თუ იმ, გარედან შემოსული ნამუშევრის ავთენტურობის დადგენა, რაც განსაკუთრებული მნიშვნელობის სერვისია როგორც ხელოვნების ნიმუშთა მესაკუთრე კოლექციონერებისა თუ კერძო მუზეუმებისათვის, ასევე ხელოვანებისა და მათი შთამომავლებისათვის. თუმცა, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებით აღჭურვილი ექსპერტიზის ლაბორატორიის მთავარი დანიშნულება სახელმწიფო მნიშვნელობისაა, ვინაიდან ის განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს ქართული ხელოვნებისა და კულტურის ფალსიფიკაციისაგან დაცვის საქმეში. ამასთან, მსგავსი ლაბორატორიის არსებობა ხელოვნების მუზეუმში სამეცნიერო და სარესტავრაციო საქმიანობის გაძლიერებასაც შეუწყობს ხელს, რადგან განხორციელდება სამუზეუმო ექსპონატების სამეცნიერო კვლევა, ატრიბუცია, დათარიღება და სხვ.**

# რეალური ანგარიში აქვთ, თუმცა ვაჭრობა არ ხდება!..

მეშინოდა, რომ მიხვდებოდნენ რას ვაკეთებდი. ფსიქოლოგიურად ძალიან სტრესული იყო, მსურდა პოლიციისთვის საკმარისი სამხილები შემეგროვებინა, – აცხადებს BBC-ის საგამოძიებო ფილმში პოლიციის გამოძიების ფარგლებში, კიევში მდებარე „მილტონის“ ქოლცენტრში ფარულად ჩანერგილი თანამშრომელი, რომელიც ახლა მოწმის დაცვის პროგრამაშია ჩართული.

**„მილტონის“ ჯგუფი დღემდე ფუნქციონირებს და მეტ ფულსაც შოულობს. 2017 წლიდან „მილტონის“ ჯგუფის შემოსავალი დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარია. არცერთი ცენტი არ დახარჯულა რეალურ ვაჭრობაზე. დაზარალებულებს ჰგონიათ, რომ ამ კომპანიის პროგრამაში რეალური ანგარიში აქვთ, თუმცა რეალურად არაფრის ვაჭრობა არ ხდება“,** – აცხადებს მოწმე.

აუდიომასალის შემდეგ, BBC-მ კეზერაშვილის თაღლითური სქემის შესახებ საგამოძიებო ფილმიც გაავრცელა. მასში დეტალურადაა ნაჩვენები და მოყოლილი, თუ როგორ მიდის კვალი დავით კეზერაშვილამდე. ფილმში დავით კეზერაშვილი „მისტერ ოფშორად“ არის მოხსენიებული. ამასთან, დასახელებულია კონკრეტული სახელები და გვარები, თუ ვისი მეშვეობით მართავს ე.წ. თაღლითურ სქემას საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი. მანამდე BBC-მ გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოძიება, სადაც გაშიფრულია ევროპელი პენსიონერების გაძარცვის სქემა, ხოლო თაღლითური სქემის ორგანიზატორად დავით კეზერაშვილია დასახელებული.

# კეზერაშვილმა და ტყეშელაშვილმა ლონდონი ერთად დატოვეს

**„პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, საქართველოს თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი ლონდონიდან კვიპროსში გაემგზავრა.**

უკავშირდება თუ არა მისი გამგზავრება „ბიბისის“ ჟურნალისტურ გამოძიებას, უცნობია, თუმცა კეზერაშვილი კვიპროსში თანმხლებ პირებთან ერთად იმყოფება, მათ შორისაა ყოფილი მაღალჩინოსანი დავით ტყეშელაშვილი.

BBC-მ დავით კეზერაშვილის თაღლითური სქემის შესახებ აუდიომასალის შემდეგ საგამოძიებო ფილმიც გადაიღო. მასში დეტალურადაა ნაჩვენები და მოყოლილი, თუ როგორ მიდის კვალი დავით კეზერაშვილამდე.

# აგვისტოს ომის გმირს ხალხი აფასებს



ეროვნული გმირის **გიორგი ანწუხელიძის** მშობლიურ სოფელ ქვემო ალვანში, მებრძოლის ბიუსტის დასადგმელად მოქალაქეებმა 27 ათასამდე ლარი შეაგროვეს. ინფორმაციას ამის შესახებ თუშეთის განვითარების ფონდი ავრცელებს:

**„შემოწირულობების მიღება დასრულდა! ერთი თვის განმავლობაში იმაზე მეტი თანხა შეგროვდა, ვიდრე ბიუსტის დამზადებისთვის არის საჭირო! კონკრეტულად, ბიუსტის დამზადება და დადგმა ჯდება 15,360 ლარი, ხოლო შეგროვდა 13,097 ლარი, 4,290 ევრო და 850 დოლარი!**

**დარჩენილი თანხა მოხმარდება გიორგის სოფელშივე მდებარე მისი სახელობის სპორტულ დარბაზს და ასევე გიორგის სახელობის ყოველწლიურ კვირეულს (ოქტომბრის ბოლოს). ხალხი არ ივიწყებს ეროვნულ გმირებს!**

# ქართველი „ჯეილო“ ამერიკელების გულს ნიჭიერებით იპყრობს

**„American Idol“-ის ოფიციალურ გვერდზე შოუს მონაწილეების მორიგი გამოსვლა ქვეყნდება. მათ შორისაა, ქართველი მომღერალი ნუცა ბუზალაძე, რომელმაც სცენაზე საოცარი შოუ დადგა.** ნუცამ მთელი დარბაზი აიყოლია, ჟიურის წევრები კი აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. მან ცნობილი ჰიტი ზარის (Ooh La La) შეასრულა. ნუცას მხარდასაჭერად თითოეულ ჩვენგანს ერთი დღე ჰქონდა. ყველა ჩვენგანს შეეძლო ქართველი ვარსკვლავისთვის გუშინ ონლაინ მიეცა ხმა, რომ შემდგომ ტურში გადასასვლელად დაეხმაროს.



**წარმატებები ვუსურვოთ უნიჭიერეს ნუცას, რომელსაც უკვე ამერიკელებმა „ქართველი ჯეილო“ დაარქვეს.**

**რუსუდან ქოჩულია**

ფიცარნაგზე

## ოქრო – ვერცხლი სომხეთიდან



**ერევანში მიმდინარე ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე 61 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე შოთა მიშველიძემ 2 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი მოიპოვა.**

მიშველიძემ ატაცში 129/133/136 კილოგრამი დაძლია და ყველას აჯობა. ჯვაროსანმა აკვრაში 155/162 კგ აწია და ვერცხლის მედალს დაეუფლა, ორჭიდში მოგროვებული 298 კილოგრამით კი ჩემპიონობა მეორედ იზეიმა.

ამავე წონით კატეგორიაში მოასპარეზე **გოდერძი ზერდელიძემ** ატაცში თავი 122 კილოგრამს გაართვა და მე-4 საფეხურზე გავიდა, იგივე პოზიცია ერგო აკვრაში დაძლეული 147/153 კილოგრამით და მეოთხეა ორჭიდში მოგროვებული 298 კილოგრამითაც.

ტურნირის სტარტზე სამივე სინჯის ჯილდო და დიდი ვერცხლი **რამინ შამილიშვილმა** მოიხვეჭა.

ხალიჩაზე

## მაჭარაშვილი ფინალშია!



**ხორვატეთის დედაქალაქ ზაგრებში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, რომლის პირველ საშეჯიბრო დღეს ძალები ხუთმა ქართველმა ფალავანმა მოსინჯა.**

მათგან ერთი ფინალშია, ხოლო ორსაც ბრინჯაოს მედლის მოპოვების შანსი გააჩნია.

97 კგ წონით კატეგორიაში **გივი მაჭარაშვილმა** მოლდოველი რადუ ლეფტერი (11:0), თურქი იბრაჰიმ ჩიფთჩი (4:3) და ნახევარფინალში უკრაინის სახელით მოასპარეზე მურაზ მჭედლიძე (9:1) დაამარცხა. ფინალში გივის მეტოქე აზერბაიჯანელი მაგომედხან მაგომედოვი იქნება.

57 კგ წონით კატეგორიაში ფინალამდე ერთი ნაბიჯი დააკლდა **რობერტ დინგაშვილს.** მან მეოთხედფინალში რუმინელი რაზვან კოვაჩი 13:3 დაამარცხა, ნახევარფინალში კი თურქ სულეიმან ათლისთან 1:13 წააგო. მედლისთვის ბრძოლაში ქართველი მოჭიდავის მეტოქე ბულგარელი გეორგი ვანგელოვი იქნება.

65 კგ წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედლის დაუფლების შანსი ექნება **ედემი ბოლქვაძეს,** რომელმაც თურქი ჰამზა ალაჩა (4:3) დაამარცხა, შემდეგ ბულგარელ მიკაი ნაიმთან 2:6 წააგო, მაგრამ მისი მეტოქე ფინალში გავიდა და ედემი რეპეშაჟში გადავიდა, რომლის პირველ წრეში შვეიცარიელ ნინო ლოიტერს გაეჯიბრება.

ოვალური ბურთი

## განსხვავებული გამოცდილება

**„შავმა ლომმა“ მატჩის მიწურულს გატანილი ლელოთი ჩილეს „სელკნემს“ 33:30 სძლია და სამხრეთამერიკულ ტურნეზე მეორე გამარჯვება მოიპოვა.**

ერთი კვირის წინანდელი მატჩისგან განსხვავებით (არგენტინულ „დოგოსთან“ – 75:19), ეს შეხვედრა დაძაბული გამოდგა. **ლევან მაისაშვილის** შეგირდებმა პირველ ტაიმში შეძლეს უპირატესობის მოპოვება, მაგრამ ჩილელებმა ბოლომდე იბრძოლეს და 18-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ, 20 უპასუხო ქულა აიღეს. ამ დროს „შავი ლომი“ კაცნაკლული იყო, თუმცა ხასიათი გამოავლინა და ბოლო წუთზე გატანილი ლელოთი გამარჯვება იზეიმა.

ქართველები სრულ უპირატესობას ფლობდნენ შერკინებაში და მოლში. გუნდი კარგად გამოიყურებოდა ხელდახელ შეტევებშიც, მაგრამ თამაში ცოტა მოუწია. ერთის მხრივ ამის მიზეზი მსაჯის ხშირი სასტვენი იყო, რომელმაც ორივე გუნდი ძალიან ბევრჯერ დააჯარიმა. მეორეს მხრივ მეტოქე, რადგან ცალკეული ეპიზოდების გარდა, ბურთს უმეტესად იგი აკონტროლებდა.

„სელკნემს“ თამაში სისწრაფეზე ჰქონდა აგებული. ისინი დერეფნიდანაც კი, ბურთს თამაშში სწრაფად აბრუნებდნენ და არეული დაცვისთვის შეტევას ცდილობდნენ. საწყის წუთებში მეტოქემ შეძლო ჩვენი წნეხში მოქცევა და ორჯერ გამოიმუშავა დასარტყმელი ჯარიმა, საიდანაც ერთი 3 ქულად იქცა. „შავმა ლომმა“ მატჩის განახლებისთანავე უპასუხა. მეტოქე ზედიზედ ორჯერ დაჯარიმდა, მოლით ორივეჯერ დიდი მანძილი მოვიგეთ, ბოლოს ბურთი ხაზზე გავიდა, დემე თაფლაძემ კარის წინ შეუტია, ბოჭვის მიუხედავად ფეხზე დარჩა და ოვალი თენგიზ პერანიძეს გადააწოდა, რომელმაც ლელოში ოთარ ლაშხი შეუშვა და გიორგი ბაბუნაშვილმა გარდასახა.

მალე „სელკნემმა“ კონტრშეტევაზე დაგვიჭირა, რასაც ჩვენი შეცდომებიც მოჰყვა და აშკარა ლელოსგან თაფლაძის ბოჭვამ გვიხსნა. ჩილელებმა იერიშები გააგრძელეს და მე-15 წუთზე სანდრო მამამთავრიშვილმა ყვითელი ბარათი მიიღო, ხოლო 5 წუთში ცენტრში გაიჭრა ხაზი, მიყოლამაც არ დააგვიანა და სამხრეთელები კვლავ 3 ქულით დაწინაურდნენ. წინა ეპიზოდის მსგავსად, გამვებულმა ქულებმა „შავი ლომი“ გამოაფხიზლა. ის რამდენჯერმე ეწვია მეტოქის 22-ს, 28-ე წუთზე მოლის შემდეგ მერაბ შარიქაძემ შეუტია, ლაშხმა ხაზი გაჭრა და ლელოში ბურთი გიორგი ბაბუნაშვილს შეაყოლა, რომელმაც გარდასახვა თავადვე შეასრულა.



როგორც კი „შავმა ლომმა“ დაცვასა და შეტევაში სათამაშო აგრესიას უმატა, ბურთიც მოიპოვა და ლელოც გაიტანა. 34-ე წუთზე შეტევა კარგად გაიშალა და ლაშხი ამჯერად მარცხენა ფრთაზე გაიქცა, წითელ ზონაში საქმეში მორკინალები ჩაერთნენ და მიხეილ ბაბუნაშვილმა თანაგუნდელების დახმარებით ლელო გაიტანა. გიორგიმ გარდასახა. შესვენებამდე მიხეილ ბაბუნაშვილს მსაჯმა ყვითელი ბარათი აჩვენა, აკა ტაბუცაძე კი ფეხით შეცურებულ ბურთს ვერ დაეწია – 21:10.

მეორე ტაიმი ქართველების შეტევებით დაიწყო. აკა ტაბუცაძე კვლავ ფეხით შეცურებულ ბურთს მიჰყვა და თავი დაიზიანა. ეპიზოდს ჯარიმა და 5-მეტრიანი დერეფნიდან აგორებული მოლი მოჰყვა, რომელსაც შალვა მამუკაშვილი მოწყდა და გუნდის მეოთხე ლელო მოკლე ფრთაზე გაიტანა. შეცვლაზე შესულმა ლუკა მატკავამ რთული პოზიციიდან გარდასახა. მაგრამ ამის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. „სელკნემმა“ სრულად შეძლო თამაშზე კონტროლის დამყარება და ჩამორჩენის შემცირება.

მეორე საპასუხო ლელო (გარდასახვით) მეტოქემ 48-ე წუთზე გაიტანა. 59-ე წუთზე მსაჯმა ყვითელი ბარათით თენგიზ ზამთარაძე დასაჯა და „სელკნემმა“ ჯარიმით კიდევ 3 ქულა გაქვითა. 69-ე წუთზე ჩილელთა იერიშები კვლავ ლელოთი დასრულდა, თანაც მიხეილ ბაბუნაშვილმა მეორე ყვითელი, ანუ წითელი ბარათი მიიღო და მატჩის ბოლომდე კაცნაკლული დავრჩით. ზუსტი გარდასახვიდან 3 წუთში, ჩილელებმა კიდევ ერთი ჯარიმა გაიტანეს და 30:28 დაწინაურდნენ.

მაგრამ „შავმა ლომმა“ წაგება არ ისურვა და დარჩენილ დროში ლამაზი კომბინაცია გამარჯვების ლელოთი დააგვირგვინა. მოლისა და ფორვარდების რამდენიმე დარტყმის შემდეგ, გიორგი მარგალიტაძემ, ლუკა მატკავამ და მირიან მოდებაძემ ბურთი ფრაზე აკა ტაბუცაძემდე ჩაიტანეს, სადაც ის ვერავინ შეაჩერა და გამარჯვების ლელო გაიტანა – 33:30.

„შავი ლომი“ მომავალ კვირაში არგენტინაში გადაინაცვლებს და 22 აპრილს ადგილობრივ „პამპასს“ ეთამაშება.

ლეგიონერი

## MVP-ის ტიტული ლიდერთან



**ესპანეთის ლიგა ენდესას 27-ე ტურში გიორგი შერმადინის „ლენოვო ტენერიფემ“ „ბასკონიას“ უმასპინძლა, რომელიც გათამაშების ლიდერია.**

კანარელებმა ლიდერს არაფერი დაუთმეს, საბოლოოდ კი დაძაბულ ბრძოლაში 83:81 აჯობეს. მატჩის MVP ქართველი ცენტრი იყო, რომელმაც შედეგიანად ითამაშა.

შერმადინმა 24 წუთში 20 ქულა, 5 მოხსნა და 2 პასი მიითვალა. გიორგიმ 13-დან 8 ორქულიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, შედეგად, მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 18-ს გაუტოლდა, რაც საუკეთესო მაჩვენებელი გახლდათ.

„ლენოვო ტენერიფე“ 19 მოგებით და 8 წაგებით სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა, მომდევნო შეხვედრას კი 23 აპრილს, საკუთარ მოედანზე „ბრეოგანთან“ გამართავს.

ყინულზე



## ისრაელიც დაამარცხეს

**მსოფლიოს ჩემპიონატის II დივიზიონის A ჯგუფში საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრებმა ზედიზედ მეორე თამაში მოიგო.**

პირველ ტურში ისლანდიასთან გამარჯვების შემდეგ (4:1), საქართველოს გუნდმა ისრაელის ნაკრებს კიდევ უფრო იოლად, 7:3 აჯობა. თამაში მეტოქემ უკეთ დაიწყო და ისრაელმა პირველი პერიოდი 2:1 მოიგო.

თუმცა, მეორე და მესამე პერიოდებში საქართველოს უპირატესობა აშკარა იყო, შესაბამისად, საბოლოო შედეგიც ლოგიკურია. საქართველოს ნაკრები ჯგუფს ხორვატეთთან ერთად 6 ქულით ლიდერობს, ხოლო მესამე ტურში მასპინძელ ესპანეთის ნაკრებს გაეჯიბრება. ჯგუფის გამარჯვებული I დივიზიონის B ჯგუფში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

# მალხაზ ბედიაშვილი



საქართველოს ტექნიკურმა ინტელიგენციამ და სამოქალაქო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, საქართველოს მშენებელთა ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, სამშენებლო სფეროში დანერგილი 18 გამოგონების ავტორი, ბატონი

## მალხაზ ბედიაშვილი

დაიბადა 1935 წელს ქ. თბილისში. მისი ბავშვობის წლები დაემთხვა მსოფლიოში ურთულეს პერიოდს, მეორე მსოფლიო ომის წლებს. ბავშვობის წლებს და სასკოლო არდადეგების წლებს იგი ატარებდა დედულეთში, ბებია-ბაბუასთან, სოფელ დიდ ჯიხაიში, რომელსაც იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე იხსენებდა ძალიან დიდი სიყვარულით და ახლობლებთან ურთიერთობის დროს ხშირად იტყოდა, რომ ბებია-ბაბუასთან გატარებულმა წლებმა და სოფელში იმ პერიოდის ახალგაზრდობასთან და უფროსი ასაკის თაობასთან ურთიერთობამ, ჩემს შემდგომ ჩამოყალიბებაში იქონია კარგი ზეგავლენაო.

საშუალო სკოლა წარმატებით დაამთავრა 1953 წელს. 1958 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი და მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1958 წელს საპროექტო ინსტიტუტ „საქსოფლმშენსახპროექტში", სადაც იმუშავა 1967 წლამდე ინჟინრად, უფროს ინჟინრად და მთავარ სპეციალისტად.

1967-82 წლებში მუშაობდა ზონალურ საპროექტო ინსტიტუტში „თბილზნიეპი", ჯერ პროექტის მთავარ ინჟინრად, შემდგომ ინსტიტუტის მთავარ ინჟინრად.

1982-89 წლებში მუშაობდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მთავარი ტექნიკური სამმართველოს უფროსად და ამასთანავე იყო სამინისტროს კოლეგიის წევრი.

1990 წლიდან იგი ამავე სამინისტროს სამეცნიერო ექსპერიმენტულ ტექნიკური ცენტრის „საქმშენსისტემის" დირექტორია, ხოლო მშენებლობის სამინისტროს რეორგანიზაციის შემდეგ, ბატონი მალხაზი სამეცნიერო ტექნიკური ცენტრის — შპს „მშენალდგენის" გენერალური დირექტორია.

იგი მრავალი ტიპიური და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის თანაავტორია. 1973-92 წლებში არქიტექტორებთან შ. ყავლაშვილთან, ს. კაციტაძესთან და ვ. კვიმსაძესთან ერთად, ავტორია 16-18 სართულიანი კარკასულ-პანელოვანი ტიპიური საცხოვრებელი სახლებისა. მის სახელთან არის დაკავშირებული „იის-04" სერიის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების გამოყენების დანერგვა მაღლივ კარკასულ ნაგებობებში. დიდია ბატონი მალხაზის წვლილი საქართველოს სამშენებლო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების საქმეში.

ბატონი მალხაზი იყო თავისი საქმის პროფესიონალი და ერთგული შემსრულებელი, ულალატო მეგობარი, სამშობლოს პატრიოტი და მოსიყვარულე, კარგი მეოჯახე, საზოგადოებაში სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით და მისი ხსოვნა დარჩება იმ ადამიანებში, რომლებსაც ჰქონდათ ბატონ მალხაზთან საქმიანი თუ მეგობრული ურთიერთობა.

უფალმა დაუმკვიდროს ბატონ მალხაზს მარადიული სასუფეველი.

**საქართველოს მშენებელთა ფედერაცია, სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი".**

კოლეგები და მეგობრები —

**მერაბ ნიკოლაიშვილი, ომარ მარგველაშვილი, ომარ კიკნაძე, თეიმურაზ ჯანაშია, ნოდარ თოფურია, იუზა თოფურია, რევაზ თოფურია, გუგა ჭოხონელიძე, ვაჟა ნადირაშვილი, ბესო თულაშვილი, გიორგი მეძმარიაშვილი, სოსო ჯღარკავა, ბადურ ჯანაშია, ზაურ ბერუაშვილი, ზურაბ ბურკაძე, ნოდარ ედიშერაშვილი, გურამ ონაშვილი, კოტე ოდიშვილი, ჯონი გიგინეიშვილი, თენგიზ ჯანჯღავა, ანზორ ჩოგოვაძე.**

# ღირსებით სავსე სიცოცხლე



## რეზო ოჩიგავას არდავიწყება

15 აპრილს ცნობილი ქართველი წყალბურთელი რეზო ოჩიგავა 80 წლის გახდებოდა, რომ არა ის ავადსახსენებელი დღე, როცა 37 წლის ასაკში ავტოსაგზაო შემთხვევას ემსხვერპლა.

რეზო ოჩიგავამ, როგორც წყალბურთელმა, ადრეულ ასაკში მიიპყრო მწვრთნელების ყურადღება და მას საქართველოს მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში იწვევენ. მალე გახდა გუნდის ლიდერი და კაპიტანი, მოიპოვა მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის ვერცხლის მედალი. შემდეგ თბილისის „ქარიშხალას" წყალბურთელთა გუნდის წამყვანი მოთამაშეა და გამოჩენილი ქართველი წყალბურთელი ნოდარ გვახარია თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდში და საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებში იწვევს. აქ იგი გივი ჩიქვანაიასთან, ლერი გოგოლაძესთან, ოთარ მიმინოშვილთან, ვოვა ისელიძესთან, ბორის მეგედთან, ირაკლი ჩხიკვაძესთან, ჯუმბერ წიკლაურთან, მურთაზ გულედანთან და სხვა სახელოვან ქართველ წყალბურთელებთან ერთად ამდიდრებს ქართული წყალბურთის ისტორიას, მოპოვებული აქვს საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის და ხალხთა სპარტაკიადის ბრინჯაოს მედლები. ამავე გუნდების შემადგენლობაში არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორია. რეზო ოჩიგავა ასევე იყო საბჭოთა კავშირის სტუდენტური ნაკრები გუნდის წევრი და ბრაზილიაში ჩატარებული მსოფლიო უნივერსიადის ვერცხლის მედლის მფლობელი. ქართულმა წყალბურთმა პატივი მიაგო მის ხსოვნას და საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ფედერაცია, იმ პერიოდის უძლიერესი გუნდების მონაწილეობით ატარებდა ტურნირს რეზო ოჩიგავას სახელობის თასზე.

რეზო ოჩიგავა უნიკალური თვისებების მატარებელი პიროვნება იყო. მან სპორტსმენის განსაკუთრებული სახე შექმნა, როგორც წყალბურთში, ისე საერთოდ, ქართულ სპორტში. იყო შესანიშნავი პიანისტი, წარჩინებით ჰქონდა დამთავრებული თბილისის კონსერვატორიის ფორტეპიანოს კლასი, იცნობდნენ, როგორც ქართული ხალხური სიმღერის და რომანსების უბადლო შემსრულებელს, უყვარდა პოეზია და შთაგონებით კითხულობდა ცნობილი პოეტების ლექსებს. მეგობრებთან თუ უცნობ ადამიანებთან შეხვედრის დროს ის ყოველთვის ყურადღების ცენტრში ექცეოდა და ყველა, განურჩევლად კაცისა თუ ქალისა, მონუსხული რჩებოდა მისი პიროვნებით. იყო შესანიშნავი მეუღლე და მამა. გამოირჩეოდა მეგობრებისადმი განსკუთრებული დამოკიდებულებით და მათი გვერდში დგომის უნარით. თავისი პიროვნული თვისებების გამო განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. რეზო ოჩიგავას ტრაგიკულმა აღსასრულმა, დიდი რეზონანსი გამოიწვია, უკანასკნელ გზაზე უამრავმა ადამიანმა გააცილა. 40 წელიწადზე მეტი გავიდა მისი გარდაცვალებიდან, მაგრამ ის ყოველთვის რჩება ჩვენს მეხსიერებაში ისეთად, რასაც მის საფლავზე დადგმული თეთრი მარმარილოს სვეტი სიმბოლურად გამოხატავს.

უფლის ნებით, რეზო ოჩიგავას გენი კვლავ დგას ქართული წყალბურთის სამსახურში. მისი შვილიშვილი რეზი იმნაიშვილი, საქართველოს ნაკრების და „დინამოს" კაპიტანი, სახელოვანი ბაბუის კვალად განაგრძობს ქართული წყალბურთის ისტორიის წერას.

**საქართველოს საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია, თბილისის „დინამოს" ოსტატ წყალბურთელთა გუნდის ვეტერანები.**

# კახეთში 71 წლის ქალის მკვლელობაში ბრალდებული ცხელ კვალზე აიყვანეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ — სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2005 წელს დაბადებული გ.ხ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

**„გამოძიებით დადგინდა რომ ბრალდებულმა, ქალაქ ახმეტაში, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მომხდარი კონფლიქტის შედეგად, მეზობელი — 1952 წელს დაბადებულ ლ.ხ. — სანადირო თოფიდან გასროლით, სახის არეში დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი ლ. ხ. სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა გ.ხ. მომხდარიდან მალევე, ცხელ კვალზე ბრალდებულის სახით დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი — სანადირო თოფი ნივთმტკიცების სახით ამოიღო.**

# აურწყავი სიმწარე

გულმოკლული — განადგურებული დედა, პოეტი ნანა დარჩიაშვილი თავზარდაცემული ვეყრები ჩემს მებრძოლ ვაჟიშვილს, ომის ვეტერან

## ზაზა ზაქარეიშვილს

„პანტერას", რომელმაც სული 14 აპრილს მიაბარა უფალს. ყველა წამკითხველს შეგეწიოთ უფალი — ბრწყინვალე აღდგომის ძალა. დღეგრძელი იყავით. მოკრძალებით გთხოვთ მიაგეთ პატივი მის სულს, აუნთეთ სანთელი...

**ნანა**

# ცხინვალში 39 წლის გიორგი სიუკაევი მოკლეს!

**ცხინვალში 39 წლის გიორგი სიუკაევი დააკავეს, რომელიც 38 წლის სოსლან ვალიევის მკვლელობაშია ეჭვმიტანილი. მკვლელობა 18 აპრილს მოხდა.**

ამ ინფორმაციის მიხედვით, სიუკაევმა ვალიევს დანით ჭრილობა მიაყენა, რის შედეგად ის საავადმყოფოში გარდაიცვალა. სიუკაევი ე.წ. პოლიციამ ცხელ კვალზე დააკავა. დაკავებამდე ცოტა ხნით ადრე დე ფაქტო ლიდერმა ალან გაგლოევმა თათბირი გამართა და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებს დამნაშავის დაკავება დაავალა.






# ქეთევან ბარამიძის პერსონალური გამოფენა

საქართველოს კულტურის ფონდი მიმდინარე წლის 22 და 23 აპრილს მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრ „მუზაში" აწყობს მოყვარული მხატვრის **ქეთევან ბარამიძის** ნამუშევართა პერსონალურ გამოფენას.

„მუზის" საგამოფენო დარბაზი ღონისძიების გახსნაზე გეპატიჟებათ 22 მარტს, დღის 3 საათზე.

# დევნილ მხატვართა „სააღდგომო გამოფენა"

**გალერეა „ოპიზარში" აფხაზეთიდან დევნილი მხატვრების გამოფენა გაიხსნა. სააღდგომო გამოფენაზე 29 მხატვრის მიერ სხვადასხვა ტექნიკაში, სიმბოლურ თემატიკაზე შექმნილი 60-მდე ნამუშევარია წარმოდგენილი.**

ექსპოზიციაზე ხუთი დებიუტანტი მხატვრის ნამუშევრებიცაა გამოფენილი. გამოფენა საქართველოს მხატვართა კავშირის საგამოფენო სივრცეში ერთი კვირის განმავლობაში გაგრძელდება.



**„გამოფენას ჰქვია „სააღდგომო გამოფენა", რომელიც აღდგომის დღესასწაულს დავუკავშირეთ. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივდივართ ჩვენი მიცვალებულების საფლავებზე, რომლებიც დაკრძალული არიან აფხაზეთში. გვინდოდა, აქედან რაღაცნაირად გაგვეგზავნა ის სითბო და სიყვარული, რომელიც მათ ჩვენი მიუსვლელობით აკლიათ. ასევე, მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ბიჭები და ქალბატონები ძალიან კრეატიულად მიუდგნენ ამ გამოფენას, ბევრი ახალი ნამუშევარი შეიქმნა აღდგომის თემასთან დაკავშირებით. მგონი, საინტერესო გამოფენა გამოვიდა",** – განაცხადა მხატვარმა ზურაბ ჭედიამ.

# „მეტალიკა" კვლავ მწყობრშია

**ალბომი 72 Seasons გახდა ჯგუფის მე-11 სრულფორმატიანი სტუდიური რელიზია. მისი ხანგრძლივობა 77 წუთია, ალბომი 12 კომპოზიციისგან შედგება.**




ალბომის გამოსვლამდე კინოთეატრებში ნაჩვენები იყო ფილმი ალბომის შექმნის შესახებ.

# ტრაგედია ფესტივალზე

**ინდოეთში მზის დარტყმის შედეგად 11 ადამიანი დაიღუპა. შემთხვევა მაჰარაშთრას შტატში მოხდა, სადაც დაჯილდოების ცერემონიალი იმართებოდა.**



ფესტივალზე მისული მაყურებელი ღონისძიებას რამდენიმე საათის განმავლობაში ღია ცის ქვეშ ადევნებდა თვალყურს. ჰაერის ტემპერატურა იმ დროს 40 გრადუსს აღემატებოდა.

# ლეგენდარული მიუზიკლი უკანასკნელად აჩვენეს



**16 აპრილს ბროდვეიზე ენდრიუ ლოიდ უებერის ლეგენდარული მიუზიკლის „ოპერის მოჩვენების" ბოლო ჩვენება გაიმართა.**

მიუზიკლი ბროდვეიზე 1988 წლიდან გადიოდა და ამ დროიდან ის 13 981-ჯერ აჩვენეს. ეს ბროდვეის თეატრის ყველაზე ხანგრძლივი დადგმა იყო. ფინალურ წარმოდგენას თავად უებერიც დაესწრო.

მიუზიკლის ჩვენების შეწყვეტის შესახებ 2022 წლის სექტემბერში გახდა ცნობილი. მიზეზად კი ის ფაქტი დასახელდა, რომ წარმოდგენებს სათანადო ფინანსური მოგება არ ჰქონდა. ამის მიუხედავად, მიუზიკლის პროდიუსერი კამერონ მაკინტოში არ გამორიცხავს, რომ წარმოდგენა ბროდვეიზე დაბრუნდება.

# 500 დღე... გამოქვაბულში



**ესპანელმა სპორტსმენმა ბეატრის ფლამინიმ გამოქვაბულში, 70 მეტრის სიღრმეზე, გარესამყაროსგან მოწყვეტილმა 500 დღე გაატარა და მსოფლიო რეკორდი დაამყარა.**

ბეატრის ფლამინის ექსპერიმენტი პროექტ Timecave-ის ნაწილია. მისი მონაწილეების მიზანია, დაადგინონ, როგორც აისახება ადამიანის ფსიქიკასა და აღქმაზე სოციალური იზოლაცია და დროში დეზორიენტაცია. ბეატრის ფლამინი ალპინისტი, სპელეოლოგი და კლდეზე მცოცავია. ის სიერა-ნევადას გამოქვაბულში 2021 წლის 20 ნოემბერს ჩავიდა, როცა 48 წლის იყო და გამოქვაბულშივე აღნიშნა თავისი 50 წლის იუბილე.

ფლამინის ჯანმრთელობის მდგომარეობას ექიმები ვიდეოკამერების მეშვეობით აკვირდებოდნენ. საკვებსა და წყალს მას კონტაქტის გარეშე უტოვებდნენ გამოქვაბულის ერთ-ერთ წინასწარ შეთანხმებულ ადგილზე. მიწისქვეშა იზოლაციის წინა რეკორდი 269 დღეს შეადგენდა, ის 2007 წელს იტალიელმა კრისტინა ლანცონიმ დაამყარა.

# მსოფლიოს ყველაზე მოკლე ძაღლი




**გინესის მსოფლიო რეკორდებმა მსოფლიოს ყველაზე მოკლე ძაღლის ტიტულის ახალი მფლობელის ვინაობა დაასახელა.**

ეს საპატიო ტიტული 2 წლის ჩიუაუა „პერლს" მიანიჭეს, რომლის სიგრძეც სულ რაღაც 12,7 სანტიმეტრია, წონა კი 553 გრამი. მისი პატრონის თქმით, ძაღლი ძირითადად ქათმითა და ორაგულით იკვებება და ძალიან უყვარს ლამაზად ჩაცმა. პერლის რეკორდი ოფიციალურად დადასტურდა მას შემდეგ, რაც ის აშშ-ში, ორლანდოს ერთ-ერთ კლინიკაში გაზომეს.

# პოლიციაში ბოცვერი... დაასაქმეს



**აშშ-ში, კალიფორნიის შტატში, ქალაქ იუბა-სიტიში პოლიციის დეპარტამენტმა სამსახურში ბოცვერი აიყვანა.**

გასული წლის ოქტომბერში ერთ-ერთმა პოლიციელმა ქუჩაში შინაური ბოცვერი იპოვა, რომელიც ცხოველთა კონტროლის სამსახურს გადასცა. თუმცა, მფლობელმა ბოცვერს არ მოაკითხა და ის პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. სამართალდამცველებმა მას „პერსი" დაარქვეს და „ჯანმრთელობის ოფიცრის" თანამდებობაზე დაასაქმეს – მის მოვალეობებში კოლეგების სტრესისგან გათავისუფლებაა. პოლიციელები აღნიშნავენ, რომ პერსი თავის სამსახურს მშვენივრად ართმევს თავს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 – ახალი „საქართველოს რესპუბლიკა" გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში"
ე. ბაღდავაძის №3

uac(უაკ)070.4(479.22) ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 21 აპრილს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.5229; ევრო - 2.7795;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1554;
100 რუბლი - 3.0848; თურქული ლირა - 0.1305;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4866;
1000 სომხური დრამი - 6.4945

**ამინდი 19 აპრილისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +6, | დღე +25 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +3, | დღე +23 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | +13, | დღე +30 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | +8, | დღე +28 |
| თბილისი: | ღამე | +10, | დღე +24 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge